ფასი 25 კაპ.



№№ 17—18

წელიწადი მეოთხე.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შინაარსი.

1. ნ. ბარათაშვილი, მ. ჯანაშვილისა. 2. მერანი, ლექსი, ნ. ბარათაშვილისა. 3. სულო ბოროტო, ნ. ბარათაშვილისა. 4. ნ. ბარათაშვილის დაუბეჭდავი ლექსი. 5. რჩეული აზრები, ნ. ბარათაშვილისა. 6. ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია მწერალთა დახასიათებით. ნ. ნიკოლაძე. 7. ჩემს ბორკილებს, ობოლი მუშისა. 8. სევდის აბლაბუდა, დ. თურდოსპირელისა. 9. Сирах სევდა, ვასო ჭითავასი. 10. სოფლათ, ნ. ზენობნიელისა. 11. პირველი დებიუტი. დასასრული. გ. ალისა. 12. „გზა". პიესა, სანდრო გურულისა. 13. ქორწილში, დასასრული, თავ—თეორისა. 14. ილია ჭავჭავაძე. 15. პროფესორი ალ. Сაგარელი. 16. გ. თუმანიშვილი. 17. ვ. წერეთელი. 18. ი. გომართელი. 19. მეორე ჩემი ეპისტოლე დეკანოზ იოსებ წერეთლის. მიმართ, ლ. ბახტაძისა. 20. რედაქцიისგან.

1 დეკემბერი 1916 წ.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოკიელისა.

ცხოვრება №№ 17–18.

1 ნოემბერი 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ნ. ბარათაშვილი.

(22 ნოემბ. 1816 - 22 ნოემბ. 1845)

ბარათაშვილები, ორბელიანები, აბაშიძენი და გუგუნავანი საქართველოში მოვიდენ ქრისტეს წინათ მეოთხე საუკუნეში, ფარნავაზ მეფის დროს. ისინი დასახლდენ თრიალეთზე, საბარათიანოში.

ბარათაშვილების გვარმა საქართველოს აჩუქა არა ერთი ჩინებული მეომარი, არა ერთი მხნე და ერთგული მამული შვილი, სახელოვანი ღვდელ-მთავარი, მოღვაწე. მათი მეცადინობით საბარათინოში აშენდა არა ერთი შესანიშნავი საყდარი, დაიწერა არა ერთი ძვირფასი წიგნი.

ნიკო ბარათაშვილმა უფრო მეტათ ასახელა თვისი გვარეულობა: იგი შეიქნა მის ბწყინვალე ვარსკვლავათ, ხოლო ამასთანვე საქართველოს დიდებათ.

მგოსნის მამა, მელიტონი მსახურობდა თარჯიმნათ ერთ ახლათ დაწესებულ სამმართველოში, მერე, იყო თფილისის მაზრის უფროსათ, თავად-აზნაურობის წინამძღვრათ. დიდს ადგილს დიდი ხარჯები უნდებოდა. ამასთან თვით თავადი მელიტონიც იყო კაცი სტუმართ მოყვარე, ხელ-გაშლილი. მალე შემოელია ცხოვრების სახსარი და გაღარიბდა.

მიუხედავათ ამისა, მელიტონი მაინც დიდ კაცურ ცხოვრებას არ იშლიდა. მისი კარი კვლავაც ღია იყო აუარებელ მეგობრებისა და ნაცნობებისთვის. მგოსანი ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხვა სწავლული ქართველები მისი მუდმივი სტუმრები იყვენ. თვითაც დროს შესაფარი სწავლა მიეღო და ითვლებოდა კაი მოლაპარაკეთ.

ის ქალი, რომელმაც თვის ძუძუსთან ერთად მგოსანს ჩაუწვეთა გულში უაღრესი ნაპერწკალი ღვთიურ სიყვარულისა, იყო მისი დედა ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და.

ეფემია იყო სახით შვენიერი, მოხდენილი ქალი. ხასიათი ქონდა მშვიდი, წყნარი. შვენივრათ იცოდა ქართული მწიგნობრობა, მეტადრე საღმრთო წერილი, ლამაზი წერა.

მელიტონის სახლობის ბინათ ანჩის-ხატის უბანი იყო. აქვე დაიბადა მისი შვილი ტატო, იგივ ნიკოლოზი, 22 ნემბერს 1816 წელს.

ჯერ ისევ პატარა იყო ტატო, რო დედამ დააწყებია სწავლა, და თითვე გაწურთნა წერა-კითხვაში. შემდეგ, შვიდი წლისა რო შესრულდა, მიაბარეს კალოუბნის სკოლაში. ეს იყო მაშინ ერთ-ერთი სასწავლებელი, საცა პირველ-დაწყებით სწავლას იღებდენ დიდკაცობის შვილები. აქ დაყო ტატომ 1827 წლამდი და, მერე, ასე წოდებულ, კეთილ-შობილთა სასწავლებლის მოწაფეთ მიებარა. ეს ის კეთილშობილთა სასწავლებელია, რომელიც შემდეგში პირველ გიმნაზიათ გადაკეთდა.

ტატო მეცადინობდა ეჯითად, იყო ცქვიტი, მახვილ გონება, ფრიად ჰევრ-მეტყველი, ამხანაგთა მოსიყვარულე, მალხაზი.

მაშინ სწავლის საქმე რიგიანათ მოწყობილ არ იყო. ხელსამძღვანელოები არ ვარგოდენ. ასეთებიც ძნელი საშოვნელი იყო თფილისში. მასწავლებელთა უმეტესობა ვერ დაიტრაბახებდა თვისი მოწოდებით. მარა, რასაც და როგორც ასწავლიდენ, მას ჩვენი ტატო წარმატებით ითვისებდა.

1835 წელს შეასრულა ეს სასწავლებელი და დააპირა სწავლის გაგძობა უნივერსიტეტში. მარა წინ გადაეღობა სიღარიბე და ამ სიღარიბისგან გამოწვეული უარი უნუგეშოთ ავადმყოფ მამისა: „შვილო შენ რო წასვლას აპირობ, ამ ოჯახს, რომელიც დღეს-ხვალ დაობლდება, ვის უტოვებ!?

გული დაწყდა. მარა შვილობრივ ვალდებულება უნდა აესრულებია; ამ საღმრთო ვალდებულობას მოსიყვარულე გულის ტატო ვერ გაექცეოდა.

დარჩა.

ახლა შეუდგა იმის ფიქრს, თუ რა სამსახური ამოირჩიოს, რო თავის თავსაც არგოს და თავის ოჯახსაც დაეხმაროს.

თავიდანვე მას იზიდავდა სამხედრო სამსახური. მარა სკოლაში მყოფობისას კიბიდან ჩამოვარდა, ფეხი დაიშავა და დაკოჭლდა. ასეთს აბა, რა წარმატება მიეცემოდა სამხედროში! და მანაც ბევრი აღებ-დაღების შემდეგ, ირჩია სამოქალაქო სამსახური და გახდა მოხელეთ „ექსპედიცია სუდა ი რასპრავი“-სა.

მარა სამსახურის შოვნით არ იყო გახარებული. იგი წერს თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, რომელიც რაღაც გაუგებარ ულმობლობით ეპყრობოდა თვისი დისწულის ფეხზე დაყენების საქმეს; დიახ, წერს ასე:

„საყვარელო ძიავ! განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედს, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის ასრულება! გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ აქ დარჩენა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს. ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარიტად, არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას“.

მგოსანი თხოვდა ბიძას, გრ. ორბელიან, მაშინ დაღისტნის გუბერნატორს, საჩემო სამსახური აღმომიჩინეო. მარა ამაოთ: გრ. ორბელიანს არ სურდა გაეგო, რა ანაღვლებდა მისს ნიჭიერს დისწულს.

დაემორჩილა „მკაცრ ბედს“ ნიკო ბარათაშვილი. სამსახური ისეთი წარმატებით აწარმოვა, რო მთავრობის ყურადღებაც დაიმსახურა და სახელიც გაითქვა საზოგადოებაში.

მარა თფილისის ცხოვრება მაშინ იყო უფერული. ქალაქში არ იყო კლუბები, თეატრი, გიმნაზიები და ამგვარი კულტურული დაწესებულებანი. თუ იყო სადმე ამისანა, ისიც ძლივს მიღონღიალებდა.

სალაყბო მთაწმიდა, ორთაჭალა, კერძო სახლები,—ეს იყო მაშინდელი საზოგადოების თეატრი და კლუბი. ჭადრაკი, სიმღერა, სეირნობა, ამით ივსებოდა გართობა, დროს გატარება. მხოლოთ იყო მცირე წრე მოწინავე კაცებისა, რომელთაც აწუხებდა ქვეყნის ჭირ-ვარამი, რომელნიც თავს იყრიდენ იქ, თუ აქ და სხვა და სხვა საკითხებზე ბაასობდენ. გული ამ წრისა იყო ჩვენი ჭაბუკი მგოსანი — ნიკოლოზი. მარა ამ წრეშიაც იგი ვერ პოებდა დაკმაყოფილებას და თავის იმავ ბიძას გრიგოლს წერდა:

„ტფილისი უსარგებლო ქალაქია გულისა და გონებისთვისო“.

მგოსანს, როგორც კოჭლ კაცს, არ წყალობდენ აქაური ბანოვანებიც. ამის გამო, თავისთვის საგულისგულო საცოლე ვერ მოიძევა და დარჩა უცოლოთ.

დარჩა მარტოკა და მისი სული შეიპყრო მარტოობის სევდა-ობლობამ.

ეგება, დროით რო დაქორწილებულიყო, მოენახა თვისი საგულო და თვისი უსაზღვრო ფიქრთა და აზრთა გამზიარებელი, მის გულს, ვიმეორებ, ეგება გადაეყარა მოწოლილი დარდები, მისი სევდა-კაეშნის მორევათ ქცეული, სული დამყუდროებულიყო, და აწ-კი იგი მარტო იყო და ღელავდა აბობოქრებულ ზღვასავით. იგი წერს თავის ბიძა ზაქარიას:

„მიუხვდომელობამ ჩვენის დანიშნულების საგნისამ, უსაზღვროებამ ადამიანის ნატვრისა და ამოებამ მთელის ცას-ქვეშეთისამ ამივსეს გული საშინელის სიცალიერით. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონოდა, ამ წამსვე თავს დავანებებდი ქვეყანას, ადამიანსაც მისის გაუმაძღრობით, და შეუშფოთველად და მშვიდად გავატარებდი უბრალო (მამაპაპურ) სიცოცხლეს წიაღსა შინა მარტივის ბუნებისასა, რომელიც ასე დიდებული და შვენიერია ჩვენს მამულში. ამ ნაღვლიან ფიქრების დროს მომესწრო შენი წერილი... ადამიანის სული, როდესაც თავის სრულს განვითარებას მიაღწევს, და ზენაარით განსაზღვრულ საქმეებს ასრულებს, ბოლოს დამაშვრალი ეძლევა მოსვენებას მშვიდ საოჯახო ცხოვრებაში.“

უფრო საგულისხმოა, ამ მხრივ, მგოსნის წერილი მის დის მაიკოსადმი. მას წერს:

„შენც იცი, დიდიხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცისა, რომელსაც მამაცა ყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში! ვინც მაღალი გრძნობის მექონი მეგონა, იგი ენახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდამო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველებად შვენიერის სულისა, თურმე, ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, მაიკო, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად მაიკო...

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არი შვება უბედურისა!“

ამისანაგ აუტანელმა ყოფამ მას გააბედვინა ბიძის გრიგოლისთვის მიემართნა საყვედურით. შენც ისე იქცევი, როგორც ყოველი ქართველი მოხელე: შენიანებს არ იკარებო, მათ ცხოვრების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავო.

ბოლოს, ჭაბუკ მგოსანს ყურათღება მიაქცია მისმა სკოლის ამხანაგმა, ლევან მელიქიშვილმა და გაამწესა ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწეთ. მარა გადაყრუებული ნახიჩევანი, რა მისი სასარბიელო იყო! მის სულს ენატრებოდა სოფლის მყუდროება, რო ჩაღრმავებულიყო უსაზღვროობის სიღრმეში, და მასკი დაავალეს დევნა ველურ მაზრის ყაჩაღების და ავაზაკების! მისმა სულმა იქ ვერ მოისვენა და პატრონმაც ადგილი იცვალა—განჯას გადავიდა. მარა ვაი, რომ აქაც დახვდა ნახიჩევანისებური გარემოება, იმაზედაც უფრო უსასტიკესი. აქ გარდაიცვალა ყაჩაღების დევნაში გაცივებული დიდი მგოსანი, 22 ნოემბერს, 1845 წელს და იქვე მიაბარეს საფლავს. აღსრულდა მგოსნის ჯერ ისევ 1842 წელს ნაწინასწარმეტყველევი:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს,
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“

ასე ჩაქრა საქართველოს დიდებული კანდელი მაშინდელ ფურთხის ღირს საზოგადოების წინ.

არავინ დაიტირა ნიკო
არავინ მოაპკურა მის სამარეს ცრემლი...

ასე გავიდა სრული 48 წელიწადი.

აღორძინდა ახალი საქართველო. „ცისკრის“, „საქართ. მოამბის“, „მნათობის“, „კრებულ-დროების“ და „კვალის“ მუშაკებმა შექნეს ახალი საზოგადოება. ამ საზოგადოებამ გამოიყიდა წინანდელი დანაშაული, ამოთხარა ნეშტი თვისი სახელოვან მგოსნისა, განჯიდან მოასვენა და დიდებით მისი ძვლები მიაბარა დიდუბის პანთეონს (25 აპრ. 1893 წელს).

ნეშტის გადმოსვენების ამბავს ასე აგვიწერს „კვალი“ (№ 18, 1893 წ.):

„დღე 25 აპრილი იყო ღრუბლიანი, დილით ცოტა წინწკლავდა... ქალაქიდან ხალხი მიეშურებოდა რკინის გზის სადგურისკენ. დიდიდი, პატარა, ქალი და ჩჩვილი,—ყველანი იქით მიისწრაფოდენ, გულის ძგერით ნოელოდენ, თვალი მოეკრათ დიდებული ქართელის ნაშთისთვის. გაისმა რკინის გზის სადგურზე მწყობრი, გულის სიღრმემდი მისაწვდენი ტკბილი ხმა ქალების გალობისა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით თავისს სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თვისი მომავლის სვე ბედის წინასწარმეტყველს. მას უფენდენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისგან შეკრულ გვირგვინებს. ერი გალობდა „წმიდაო ღმერთოს“, და ამ დიდებით გაუვა იგი დიდუბის ტაძრამდი, სადაც მას მოელოდა სამშობლო მიწა, რო მიეღო საუკეთე-

სო დაკარგული შვილი თვის კალთაში, ზედ დაეფრქვია მდუმარე ცრემლი საქართველოს დედისა და იმითი გაეთბო 48 წლის გაყინული ძვლები პოეტისა უცხო ქვეყანაში".

მგოსნის კუბოს წინაშე წარმოითქვა სიტყვა. აკაკიმ თავის შესანიშნავ შესხმას წაუმძღვარა თვით განსვენებული მგოსნის სიტყვები:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის ჩავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი,
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ
ტყეთა ფრინველნი და ვარდი".

ნიკო—ტატომ ჯერ ისევ სკოლაში ყოფნის დროსვე დაიწყო მწერლობა, ლექსების წერა. გიმნაზიაში იგი მონაწილობას იღებდა მოსწავლეთა ჟურნალში „ცვეტოკ გიმნაზიი". გიმნაზიაში მყოფობისას დაწერა აგრეთვე ორი ჩინებული ლექსი: „ბულბული ვარდზე" და „ქეთევან".

სკოლის გარეთ მგოსანმა იცოცხლა მხოლოთ ათი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მან დაწერა სულ 35 ლექსი. არი ცნობა, რომ მას დაწერილი ქონია აგრეთვე ვრცელი პოემა „ივერიელნი", რომელშიაც დახატული ყოფილა მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკ. საქართველო. აგრეთვე გადმოთარგმნილი ქონია ტრაღედია „იულიუს ტარენტელიც." მარა ეს უკანასკნელნი და ბევრიც სხვა თვითვე დაუხევიათ.

მართალია, მგოსან ბარათაშვილს ბევრი არ დაუწერია, მარა, რაც დაუწერია, ყველა რჩეულია, პირველ ხარისხოვანი.

საგანი ბარათაშვილის ქნარისა არის ბუნება, სამშობლო, სიყვარული, ადამიანობა.

კილო მგოსნის ქნარისა არი კაეშანი, სევდა, ნაღვლიანობა, მარტოობა, ობლობა სულისა.

ის კილო უაღრესობამდი გავითარებულია მის ლექსებში: „მერანი", „სულო ბოროტო", „სული ობოლი".

მთაწმიდა, მტკვარი, ჩინარი, ყვავილი და სხ. მგოსნისთვის შესამჩნევია იმ მხრით, რო აძლევენ შემთხვევას,—გულჩათხრობილმა აღმოხეთქოს გულის სიღრმიდან მწვავი სევდა, მწარე ნაღველი. კრწანისის ველი, არაგვის პირი, მეფე ერეკლე მის გულში ბადებენ აზრთა მორევს, შესახებ საქართველოს ბუნების შვენიერებისა, ქართველ მეომართა გმირულათ ბძოლისა, შინა გამკემლობისა, მეფისძეთა უნიჭობისა.

მგოსან ბარათაშვილს, როგორც ვუწყით, ადარებენ ლერმონტოვს და ბაირონს, რომელიც აგრეთვე დამღეროდა სულით ობლობის და სულით მარტოობის ჰანგზე.

საქართველოში ეხომ, ამ მხრივ, ბარათაშვილს ტოლი არ გამოჩენია.

ერთს თავისს ლექსს („ფიქრი მტკვრის პირას") ბარათაშვილი ათავებს სიტყვებით: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არ-რა იზრუნვოს".

დიახ, პოეტი ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი, თუმცა მოკლე ხანს იყო ამ სოფელს, სულ 29 წელიწადი, მარა სოფლისთვის-კი თვალ-საჩინოთ იზრუნა: სამშობლოს დაუტოვა საიმედო ჰანგები და მით თავის თავსაც დაუდგა უხრწნელი ძეგლი: უკუნითი ხსოვნა ღვიძლი ერის მეხსიერებაში.

მ. ჯანაშვილი.

18 ნოემ. 1916 წ.

მ ე რ ა ნ ი.

მირბის, მიმაფრენს, უგზო უკლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი დაღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,

ნუ შემიბრალებ დაჭანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა,—
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოთ ვარსკულავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს შვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპირთ საფლავებ შორის:
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის,—
შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამომდი არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდათ ხო მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
1842 წ. მაისის 9.

ნ. ბარათაშვილი.

*
* *

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემი გონების და სიცოცხლის შენ ალმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას,
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკურველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სულო ალმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუსხვერპლიდი, ჩემთ გულის თქმათა!
მას აქით არი დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჲი მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაჲ მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!
1843.

ნ. ბარათაშვილის დაუბეჭდავი ლექსი.

ელენეს და მარიამს.

მე შად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,
არც იმაზე ხართ უმცროსი, რაღას დასცინით ხანზედა;
თუნდა კნეინა სოფიოს, კითხეთ, რამდენის წლისაც ხართ;
მაგას რო ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!
თვარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;
პაპუნაშვილი თქვენი ყმა, თქვენი ლალაცა ყოფილა,
იმისი თქმითა მარიამ, ოცდა ათისა ყოფილა!

თ-დი ნ. ბარათოვი...

რჩეული აზრები ნ. ბარათაშვილისა.

მწუხრი გულისა -სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რო გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

—

მაინც რა არი ჩვენი ყოფა,
წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული
აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის
გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით,
ისი ეკმაროს?

—

მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან —
შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას,
გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემგსავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნოს!

—

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ ჩივის თავის უთვისტომობას,
საბრალოა მხოლოთ სული ობოლი:
ძნელია პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!
ოხვრა არი შვება უბედურისა!

—

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;

—

ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში, მას გაჭირება,
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის.

—

სასაცილოა ბერი კაცი, რო ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

—

მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა
გძნობათ გამოთქმა!

—

სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო.

—

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ
ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე
მსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა
შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი
და უმტკიცები!

—

შვენიერება ნათელია,
ზეკით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გძნობა,
გული და სული.

—

თვით უკვდავება შვენიერსა
სულში მდგომარებს.

—

ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული,
ძნელადღა გარდაცვლის ჩვეულებას და, ვიდრე-
მდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა
და ბძოლა მისი.

—

რას იფიქრებ, რო ბოლო არა ქონდეს,
ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო?

—

სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე
გულგრილად, ამაყად, და გწამდეს, რომ იგი-
ნი შეურჩენელნი არიან!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

და მისი პოეზია, მწერალთა დახასიათებით.

ნ. ნიკოლაძე.

ნ. ბარათაშვილის მოსიყვარულე სული, ბედზე ჩივილი და კაცობრიული იდეალებისკენ მის-

წრაფება სულ არ ეთანხმება წინანდელი დროის ქართულ პოეზიას, რომელიც მხოლოთ სილამაზესა და სიყვარულს დამღეროდა. განსაკუთრებული თვისება ნ. ბარათიშვილის პოეზიისა ისაა, რო მისი ლექსები ისეთის აზრით და გძნობით არი დაწერილი, ისეთი ძლიერი სიტყვებით გამოთქმულ-გამოხატული, რო ღრმა ჩაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ, თუ სახეში მივიღებთ ქართულ მწერლობის მდგომარეობას, ნ. ბარათაშვილის დროს და, განსაკუთრებით, მაშინდელ პოეტების აზრს, პოეზიასა და მის დანიშნულებაზე,—მაშინ სამართალიანმა და უტყუარმა კრიტიკამ უნდა აღიაროს ნ. ბ. ქარ. მწერლობის ჭეშმარიტ განმაახლებლათ. წინანდელი პოეტების ლექსები მხოლოთ, ღვინოსა და სატრფოს დატრიალებდა. თითქმის სულ-მნათი რუსთველის შემდეგ, ვერც ერთმა ქართველმა პოეტმა ვერ შეითვისა და ვერ შეიხორცა ის აზრი, რო პოეზია მხოლოთ სატრფიალო და ქალის სიყვარულის გამოსაკვანძათ არ არი გაჩენილი, მართალია, სხვა და სხვა დროს, გარეგანი ფორმა ლექსებისა ვითარდებოდა, ლექსი ტირილს—სიცილათ, აღტაცებულ აფრთოვანებულ სიხარულს—ვედრება-აჯათ გარდააქცევდა ხოლმე, მარა შინაარსით, აზრით მაინც ერთი და იგივე გამოდიოდა. იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომელიც თავის ლექსებში, დრო-ჟამის ვითარებას და სიავეს შეხებოდა და არც ერთს, გარდა დ. გურამიშვილისა, არ გაუბედია გამოეთქვა ლექსებით ცხოველი აზრი თვისი დროის ცხოვრების სხვა და სხვა საგნებზე. მაშასადამე, ცხადია ასეთ მწერლობაში, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ნიჭიერ პოეტს, რომელმაც პირველათ გაბედა გაემსჭვალა თვისი ლექსები დრო-ჟამის ცოცხალი მოტივით და გამოეთქვა მაშინდელ საუკეთესო კაცთა გუმანი, გულის ნადები და მისწრაფებანი.

ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა და შემუშავებაც ორიგინალურია, თავისებური. მისი ლექსები, ისე ტკბილ ხმოვანია და ენერგიული, რომ იმათი მსგავსი არა დაწერილია რა ქართულ ლიტერატურაში. ნ. ბარაოაშვილს არუყვარს მრავალ სიტყვაობა. ამიტომ იმისი ლექსი გარეგან ფორმით ძლიერ მოკლეთ, მოჭრით გამოთქმულია და, საზოგადოთ, ისეთსავე ჩაბეჭდილებას მოახდენს მკითხველზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა. ჩვენი პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა, ძლიერი და მკვეთრია, იმ გვარათვე მოკლეთ გამოხატულია, წვრილმანების სრულ უყურათღებობით და იმნაირათვეა გამოკვერილი, თითქო ჩაქუჩსა ცემსო მკითხველს თავში და უნდა ღრმათ ჩაუსვას, ჩააგონოს თვისი აზრიო.

ნ. ბარათაშვილის ლექსები გარეგან ფორმით წლითი-წლობით უკეთესდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. უფრო მკვეთრი, უფრო ენერგიული და მოკლეთ მოჭრილი გამოდიოდა. 1845 წ. სიკვდილის წინათ, ხომ ისეთი ლექსი დაგვიწერა სულ-მნათმა, რო თამამათ შეგვიძლია ხალხის პოეზიისა და გენიოსობის ნაწარმოებათ მივიღოთ.

ჩემს გორკილეგს.

მახსოვს, მზის სხივებს ექსოვებოდა
საგანთიადო ტკბილი სიმღერა,
და მას ნაზ- ტკბილათ უერთდებოდა
სწრაფვა სულისა და გულის ძგერა...
აღთქმის ქვეყანას ვეჭვრეტდი შვებული
და მისკენ ვქროდი... ვქროდი ფთა-შლილი...
მსურდა-ცის თაღზე აყვავებული,
მიწისთვის მეძღვნა სხივთ თაიგული.
და, თქვენ, შემბორკეთ, ოხ, ბორკილებო!
დაწვით, დადაგეთ ყრმის ნორჩი გული...
ჩამიქვრეთ სხივი, სინათლის მტრებო,
და გამითხარეთ ბნელი ჯურღმული!
შავ-ცხრაკლიტულში დამარხეთ ჩემი
სიყმაწვილე და ახალ-გაზდობა...
ოხ, აღთქმის ქვეყნის მწვანე მთის თხემი,
აღარ ჩანს... აღარ... ჯანღი ედება!..
ჰა, კვლავ მზათა ვარ, ოხ, ბორკილებო,
გესლით აღსავსე მიმღერეთ ნანა!
მარა, იცოდეთ, რო საოცნებო
კვლავ ესიზმრება სულს ის ქვეყანა!..

ობოლი მუშა.

1915 წ.

სევდის აბლაბუდა.*

*) აბლაბუდას იმერეთში ობობას ეძახიან.

რედ.

ვერძიებდ მას და არა ვპოვე იგი,
ვსადოდე მას და არა მოიგონეს.
სოლომონ („ქება-ქებათა".)

აბლაბუდა...

სევდის აბლაბუდა...

უჩუმრათ ეშვება ჩემს ოთახში და უჩუმრათვე აბამს ქსელს...

ისე გულ-დასმით, ისე ხალისიანათ აბამს ქსელს, თითქო ნორჩი სადედოფლო მეცხედრეს ოქროქმკედით უქარგავდეს ჯუბას თვის სასურველს თანამეცხედრეს გვირგვინოსან მეფეს...

მეშაობს აბლაბუდა ნელა, მარა შეუსვენებლათ, ქსელს თან და თან ასხვილებს, თან და თან ამაგრებს... ჩემ განწირულ ცრემლებს ყაისნაღათ ხმაროობს და მისითა კრეფს ქსელის თვლებს, მუქ ძაფებს... აშავებს და ასხვილებს აბლაბუდა ქსელს და უარესათ მიბნელებს მოქრუშულს ოთახს...

მძაგს, მეზიზღება ეს აბლაბუდა ისე, როგორც შეუძლია სიძულვილი ადამიანს, რომელსაც. მის გარდა, არაფერი დარჩენია რა ამ ქვეყნათ...

მეზიზღება იგი... მარა ვერას ვაწყოფ მის წინააღმდეგ... ამაოა გაბძოლება... ვერა ვწყვეტ ქსელსა... უფრო და უფრო ვიბლანდები შიგა... აი, უკვე დამენარცხა გულს და მიწყო სისხლის წოვა...

უჩუმრათ, უხმოთ მწოვს იგი სისხლს და არავინაა შეებძოლოს მას... არავისა სურს შემოიხედოს ჩემს ოთახში და დაინახოს ეს საშინელება...

ყველა გვერდს მივლის... ყველა მარიდებს თვალებს... თელი სიცოცხლე... თელი ცხოვრება მიმდინარობს ჩემ გარეშე... მას სრულებითაც არ აფიქრებს, რომ აქ, ამ ბნელს ოთახში, კაეშნის აბლაბუდას ქსელში გახლართულა ადამიანი, რომელსაც წყურია... ახ, რა ძლიერ წყურია სიცოცხლე...

ჩემ გარეშე მიმდინარობს ცხოვრება ლამაზი სიზმრების ჩიტუნიებით და დიდათ წარმტაცი ჰანგების ყვავილებით.,.

იგი სრულებით არ მამჩნევს... არც ესმის ჩემი გამწარებული ძახილი...

დ. თურდოსპირელი.

16 დეკემბ. 1914 წ.

ცირას სევდა.

მოცქრიალე და ლამაზმა ცირამ მეგობარი ინახულა.

იგი გულის ფანცქალით ელოდა მეგობრის სახელზე მოსულ წერილის მიღებას, რომელიც მისი გულის თქმას პასუხს გაცემდა და დაამშვიდებდა.

მან წერილი მიიღო და გულ მოდგინეთ შეუდგა კითხვას. მარა იგი თან და თან დაღონდა, პირისახემ დაკარგა აფთოვანებული გამოხატულება, წარბები შეიკრა და თვალებიდან მრისხანების ნაპერწკლები გადმოაფრქვია.

იგი, თითქო შეკრთა, თმების კულულები შეისწორა და ჩაფიქრდა.

მეგობარი, მეგობრის განცთას უსიტყვოთ იზიარებდა და ვერ ეპოვა პასუხი მისი მანუგეშებელი.

—რათ დაღონდით? კითხა, ბოლოს, მან.

—იცი, მე სიყვარულის ალმურს განვიცთიდი და იგი, ვინც ჩემი მეგონა, ახლა მოგონებათა სრბოლას უნდა მივცე და ეს წერილები, რომელიც შენ გადმომეცი, ჩემი გულის მწველ სამახსოვრო-განძათ უნდა შევინახო, უთხრა მან მეგობარს და სივრცეს ნაღვლიანი თვალებით მიაცქერდა.

—თუ სიყვარულს განიცთიდი, ნუ თუ ახლა ის განცთა დავიწყებას უნდა მიცე? შეეკითხა მეგობარი.

—იცი, ჩემო კეთილო, სიყვარული იბადება—სიყვარული კვდება და მანუდარდელათ გადიკისკისა.

—მაშ, რათ დაღონდით წინათ?

—განა ვერ მიხვდი? მაშინ მე დაობლების სიმწვავეს განვიცთიდი და მასზე მოვთქვამდი, მიუგო მან.

ვასო ჯითავა.

სოფლათ!

კვალათ შენთან ვარ, მშობელო მხარეევ,
კვალათ შენთან ვარ, შენთან ვარ კვალათ.
მიმიკარ მკერდზე, პირ-მომცინარეევ,
რო საყვედური არ დაგრჩეს ვალათ.
დიდი ხანია, შენ ხუჭუჭ თმებში
არ მისმენია ფრინველთ ჭიკჭიკი;
დიდი ხანია, შენ წყნარ ფიქრებში,
რომ არ მინახავს თეთრი ბილიკი...
და, აჰ, მოვედი, რო ძველებურათ
გემუსაიფო და გცე თაყვანი.
შენით გადვიქეც მე სალამურათ
შენი მთებია ჩემი აკვანი...
შენთან გაზდილვარ.. ჩემი ბავშობა,
ტურფავ, მე შენთან მიტარებია
და სათნოებით აღსავსე გძნობა
მე ძალზე შენთან შემყვარებია...
შენთან ყოფნის დროს, მგონია ასე,
რო ყვავილებიც მესალმებიან,
თითქოს ტყეც-კი მცნობს, ტყე მოხასხასე,
თითქოს ფოთლებიც თავსა მიხრიან,
თითქოს მდინარეც გაბრაზებული,
მესალმებოდეს კისკის ლიკლიკით...
თითქოს მწვერვალზე თაღი დადგმული,
მე მპატიჟობდეს ზევით ბილიკით.
თითქოს მზეც მაშინ ჩემთვის მზეობდეს,
ვიმყოფებოდე ტურფა ბაღნარში,
თითქოს ზეციერთ ლოცვა მესმოდეს,
თავისუფლების წმიდა ტაძარში...
და, როცა ვერ გმზერ და, როცა შორს ვარ,
მტანჯავს ფიქრები მოლიანდაგე,
თან ისეთ ძალას ავყავარ ზევით,
რომ ოცნებით მსურს შეგახო ბაგე...
ან რით გამოვთქვა იგი სიამე,
რაც, ტურფავ, შენთან მე განმიცთია:
შემოლამება არი მოწამე,
რაც შენზე მითქვამს და მიფიქრია.

დ. ხიდისთავი. 1916 წ.

ნ. ხვნობნიელი.

პირველი დებიუტი.*)

(დასასრული.)

აი, ვიღაც, ჩემთვის უცნობი არსებაც გამოჩდა. უცნობმა ამხანაგს გადახედა და დაეკითხა:

—ა? ამით, თითქოს მას უნდოდა მისთვის ეკითხა: აბა, შეხედე, როგორ ტკბილათ გალობს და როდემდის გსურს უსმინო მაგის გალობასო. შემდეგ, მე მომმართა:

—ჩამოდი ძირს.

მე ადგილიდან არ ვიძროდი. ახლა-კი ეჭვი შემეპარა, თუ როგორ ავანტყოფთან მივყავდი თედორეს და თან და თან ვერკვეოდი, თუ ვინ უნდა ყოფილიყვენ ჩვენი დამხვდურები. სიბნელეში ვერც ერთის სახეს ვერ ვარჩევდი. თედორეზე, რასაკვირველია, გული მომდიოდა და ცოტათი მეჩვენებოდა ის სილა, რომელიც მას გასამჯელოთ უთავაზეს.

—ჩამოდი—მეთქი. —დაიღრიალა მან და ძალით ძირს ჩამომიყვანა.—ეი, „ქარშხალო“, მიუბრუნდა იგი ამხანაგს—აუხვიე თვალი.

მე პირველათ მინდოდა გავძალებოდი, მარა დავრწმუნდი, რომ ეს მხოლოთ ტყვილი ცთა იქნებოდა და ნებას დავყევი. ჩემთვის კიდევ გაუგებარი იყო, თუ რა მოხდა. ხდება ის, რო ცოცხალ ხალხს იტაცებენ, მარა იმათ ამ დროს ფულის იმედი აქვთ, რო მათი სხვერპლი გამოყიდული იქნება და მე კი, აბა, ვინ გამომიყიდიდა, ან რით, კიდევაც რო მოენდომებია ვინმეს. ბედს ამით დავეჯილდოვებინე, რო სხვილი ფულის არა ვიცოდი რა. მაშ, რაში იყო საქმე? თუმცა გულს ვაიმედებდი. რო იმათთვის დიდი განძი არ ვიყავი, მარა ასეთმა მოულოდნელმა შეხვედრამ, ისე შემაკრთო, რო ცახცახმა ამიტანა. ჩემი საზაფხულო პალტო, თითქო დრო მიპოვაო, უარზე იყო გავეთბე და ქარი შიგნით არხეინათ დასეირნობდა. ბოლოს, გადავწყვიტე უცნობისთვის, რომელსაც „ქარიშხალი“ უწოდეს, მეკითხა მათი ვინაობა, ან რაში იყო საქმე. მარა, პასუხის ნაცვლათ, რაღაც გასვრილი ტილოები თვალი ამიხვია, რამდენიმეჯერ შემომატრიალა ერთსა და იმავე ალაგას, ცოტა გამარონია და, როგორც ჩანდა, სხვა ეტლში ჩამსვა. ვიღაც ორი ამომიჯდა გვერდში და წავედით. დიდხანს არავის სიჩუმე არ დაურღვევია. ბოლოს, ერთი მათგანი მომიბრუნდა და მითხრა:

—შენ გინდა გაიგო, ვინა ვართ, ან სად

*) იხ. „ცხოვრება“, №14.

მიგვყავხარ, არა? მაშ, კარგი, გეტყვი. მე ვარ ვანკა მახნატი... ეს-კი ჩემი ამხანაგია-„ქარიშხალი“. დარაჯებთან მოგვიხდა შეტაკება. ამხანაგი დამიჭრეს. კვდება, მგონია... თურამე შეგიძლია, საჩუქარზე არ დაგწყვეტ გულს, თუ არა და ეშმაკსაც წაუღია შენი თავი...

—მე, რასაკვირველია, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, ვუთხარი მე. მარა რათ არი, რო თვალი ამიხვიეთ? ამიხსენით თვალი, დაგინახოთ მაინც.

—შენ ბებიაშენს უამბე მაგისანა ზღაპრები, გამაწყვეტია ვანკამ, როცა საჭირო იქნება, მაშინ გვიხილავ.

ამით ჩვენი ლაპარაკი შეწყდა. რამდენ ხანს ვიყავით გზაში, არ ვიცი. ჩანდა, სოფელში შევედით, რათგანც, შიუხედავათ ნელი ნაბიჯისა, სიჩუმე დავარღვიეთ, რითაც ძაღლების ყეფა გამოვიწვიეთ. ეტლი ერთ ქოხთან გაჩერდა. ვანკამ ძირს გადმოიყვანა და „ქარიშხალს“ გადამცა. თვით მიუბრუნდა მეეტლეს და უთხრა:

—აბა, დაიკარგე აქიდან. როცა საჭირო იქნები, მე გეტყვი.

ქოხში შევედით. ვანკა უკან მოგვყვა.

III.

შესვლისთანვე თვალს სახვევი მომხსნეს. ქოხში ისე ბნელოდა, რო უფრო, რაღაც უცნაურ ხვრელს მოგაგონებდათ, ვიდრე ადამიანის სადგომს... ჭვარტლისგან გალანჯულ კედლებს ზედ ჩამოწოლოდა დაბალი ჭერი, რომელიც ბრუნდი სვეტით იყო გამაგრებული.

—სად არის ავათმყოფი? დავეკითხე მე.

ვანკამ გამჭვარტლულ სანათს ამოუწია, რომელმაც იქაურობა ძლივს გაანათა. მე გავეშურე იმ კუთხისკენ, სადაც გულალმა, კვდარივით უძრავათ, ავათმყოფი ეგდო. იგი სისწრაფით სუნთქავდა. სანათის მკრთალი სინათლე, რომელიც ძლივს ატანდა გაჭვარტლულ შუშაში, უფრო საშიშ შეხედულებას აძლევდა მის სახეს. მე მივედი მასთან და საბანი გადავხადე. საზიზღარი სანახაობა წარმოიდგა თვალწინ. ჯერ სიცოცხლით სავსე, 25-30 წლის ყმაწვილი კაცი, სიცოცხლეს ეთხოვებოდა. მის ლამაზ, ახალგაზდა სასიკვდილოთ გაყვითლებულ სახეს უკვე სიკვდილის ბეჭედი აჯდა. აქ ახალგაზდა ებძოდა სიკვდილს და დაუძლურებული მას ემორჩილებოდა. სასტიკი შესახედავი იყო მისი დახუჭული თვალები და სისხლისგან დაბეებული, ნახევრათ ღია პირი, რომლიდანც სტვენით უკანასკნელი სულის თქმა ამოდიოდა. ტყვია მოხვედრილი ქონდა მეორე და მესამე მარცხენა გვერდის წნელთა შვა, რომელიც გამოსულიყო იქვე მარცხენა კინკიბას ზევით და სადღაც ნიკაპ ქვეშ დამალულიყო. მომაკვდავი სისხლის ტბაში იწვა, რომელიც მის გამხმარ ჭრილობებიდან კიდევ გამოდიოდა.

—თელი დღე ასე სდის. მოკლეთ ამიხსნა ვანკამ.

რა შემეძლო მისთვის მესაშველებია? მისი გადარჩენა ხო მკვდრის გაცოცხლება იქნებოდა. სისხლისგან დაცლილი, იგი უკანასკნელ წუთებს ეთხოვებოდა. მე ჩემი ვალდებულება მაინც შევასრულე: ჭირლობა მოვბანე და შევუხვიე, რაც მასთვის უკვე ზედმეტი იყო. შემდეგ, ჩემი აზრი ვანკას გავუზიარე.

—მეც ვიცოდი, რო მოკვდებოდა, მომიგო მან, თითქოს ადამიანზე ლაპარაკი სრულებითაც არ ყოფილიყოს და დამეკითხა:

—გასამრჯელო, რა მოგცე?

—გასამრჯელო? გავიმეორე მე გაკვირვებით. რის გასამრჯელო? და, განა, მე გავაკეთე რამე? მხოლოთ მიყავით სიკეთე და კაცი გამატანეთ, რო გზა გამასწავლოს.

—მე თვით წაგიყვან, მითხრა ვანკამ. მხოლოთ იცოდე, რო კრინტი არსად დაძრა, თუ სად იყავი.

—მაგას ვერ შეგპირდები, ვუთხარი მას. მე ვალდებული ვარ, მკურნალს მოვახსენო, თუ სად ვიყავი, ან როგორი ავათმყოფი იყო... თქვენთვის მაინც სულ ერთია, მე ხომ არ ვიცი, თუ სად ვარ, ან ვის სახლში ვარ. მე მკურნალს მხოლოთ იმას ვეტყვი, რაშიაც იყო საქმე.

—ეშმაკმა ზიდოს შენ-თავი, როგორც გინდა, ისე თქვი, და მეორე ოთახისკენ გაბრუნდა.

—ბაბუა, ა, ბაბუ! გამოდი აქით. ოთახიდან გამოვიდა დაბალი ტანის მოხუცი, რომელიც კატასავით შეჩერებოდა ვანკას. აბა, ბაბუ, ეს ერთი, ეს ორი, სამი... საკმარისია? აბა, მაშ, ესეც ოთხი, ხუთი... ახლა-კი გეყოფა, უთხრა ვანკამ და მოხუცს უბეში ხუთი ას მანათიანი ჩაუტენა—ახლავე დამარხე აქვე სადმე, შენ ბაღში, რომ არავინ გაიგოს, თორე, ვაი შენ. მე-კი შორს ვიქნები. ახლავე-მეთქი, ვიდრე სოფელი გაიგებდეს... აბა, „ქარიშხალო“, აიდა! იგი კარებისკენ გაემართა. კარებში შეჩერდა. დაყოფილ ამხანაგის სულთმობრძავ სხეულს შეხედა. დიდხანს უყურებდა მას. ბოლოს, მის თვალთაგან ჩამოვარდა ორი ობოლი, სხვილი ცრემლი, ცრემლი სინანულისა და ამხანაგისადმი სიყვარულისა. მან ჩაიჩოქა და პირჯვარი გამოისახა. აქ აღარ იყო ვანკა კაცის მკვლელი, ვანკა მცარცველი; იყო მხოლოთ ამხანაგი, რომელიც გულით წუხდა ამხაგის სამუდამოთ დაკარგვას, იყო ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც დროთა ბრუნვას მხეცათ გადაექნა. იგი გიჟივით წამოვარდა ზეზე და გარეთ გამოვარდა. მეცუკან გამოვყევი. გამოსვლისთანვე ამიხვიეს თვალები. ვანკამ და სტვინა და, რამდენიმე წუთის შემდეგ, ჩვენ ეტლში ვიჯექით.

როცა ეტლი გაჩერდა და მე ძირს გადმოსხეს, უკვე რიჟრაჟი იწყებოდა. სადღაც ტიალ მიდორში ვიყავით გაჩერებული.

—აწ-კი, შვიდობით, მითხრა ვანკამ; აქვე მარცხნივ არი გზა, რომელიც ნახევარ საათში მიგიყვანს სოფელში. ჩვენ-კი ჩვენ საქმეზე წავალთ... ასეთია ცხოვრება: თუ ჩვენ არ მოვასწარით, იგი თვით ჩვენ გაგვჭყლეტს. შვიდობით!

ისე გულიანათ გამომეთხოვა ვანკა, თითქო დიდი ხნის მეგობრები ყოფილვიყოთ.

მე დიდხანს ვიდექი კიდევ მიდორში და მივჩერებოდი შორს, სადაც ვანკას ეტლი სიბნელეში ჩაინთქა. წავიდა ვანკა, რო თვისი საქმე გაეგძელებია... იქ-კი დატოვა სულთმობძავი ამხანაგი, რომელსაც ისევ სულთმობძავს ჩაადებდა მიწაში პატარა მოხუცი, რომ ამით თვისი თავი გადაერჩინა... წავიდა ვანკა, რო ითარეშოს ბანამდი, სანამ ამასაც არ გაგმირავს უსამართლო, დაუნდობელი ტყვია და ამასაც ისევ სულთმობძავს არ ჩამარხვენ შავ მიწაში...

უკვე გათენებულიყო, როდესაც საავათმყოფოში დავბრუნდი და ის, რაც ვანკას ვუთხარი, შევასრულე.

გ. ალი.

ქ. ხარკოვი.
XI. 1915 წ.

„ზ ნ ა“ *)

მოქმედება მეოთხე.

(სურათი)

(კეთილაძის ეზოს მოურებლობა ამჩნევია: იქ-აქ ღობე ჩატეხილია, სცენა თან და თან ბნელდება. სახლიდან გამოდის ნინო, ცალ ხელში სანათი უკავია, მეორეში-წყლიანი დოქი, მიდის ასხვის ქვეშ და მიწაზე ჯდება.)

ნინო.— (სახლისკენ)—ქეთო, ცავ, გამეიტანე, შვილო, ბარაღმაი იი ჭადი და ლობიე და გამოი! (თავისთვის) უფ, უფ, უფ, რა სიცხეა ამელამ? დეილოცა, ღმერთო, შენი დიდება! მოვხუცდი ქალი და ამისანაი ტაროსი არ მომსწრია ჯერე (პაუზა). ეხ, ღმერთო დიდებულო, რა დაგიშავე, ღმერთო, მე უბედურმა, რომ ასე უკულმა დაატრიალე ჩემი ოჯახი! ქმარი მყავდა და ხიდან ჩამოაგდე და ქი წამართვი, ერთი ბიჭი მყავს და, ამდენი ხანია, არც ავი ვიცი მისი და არც კაი, ერთი ძროხა მყავდა და იგიც გუშხამ ხრამში გადამეჩეხა. ჰე, უფალო, დეილოცა შენი ხსენება, რა მარტუაი ჩემზე მეიცალე, შე დალოცვილო? (ცოტა პაუზა). ნეტაი, მისი ჭირიმე, გერმანე დამიბრუნდებოდეს მშვიდობით სახლში და აფერს არ ვჩივი.

(გამოდის ქეთო და გამოაქვს ქოთნით ლობიო, ჭადი, წვანილი და სხ. ნინო ჭადს დატეხს, ლობიოს საინზე გადმოარიგებს და ვახშმობენ.)

ქეთო.—(პაუზის შემდეგ)—ნენა, დღეს დილას, შენ რო სახლში არ იყავი, მართაიე გამეიარა ჩვენს ალაგეს.ია, დამინახა და მითხრა: წაყევი, დაია, წაყევი მოჩხუბარიძეს, თვარა უკეთესს, სანთლით რომ ეძებო. თელ ჩვენ მუხუ-

*) იხ. ცხოვრება № 16.

რაში, ვერ იშოვიო. მე მეტი ვეფერი ვერ ვუთხარი: მე რა მეკითხება, მართა, ყველაფერი ნენაის საქმეა-მეთქინ.

ნინო.—კიდემ არ მეხსნება ი კუდიანი? ათასჯერ ვუთხარი: მოჩხუბარიძეს ციცას ვერ მივცემ—მეთქინ და ველარ გეიგონა? ცხონებული მამაშენის სიცოცხლეში რო მოხერხებულიყო, სულო ცოდვილო, მაშინ ქი მინდოდა, მარა ახლა მაი ყოვლათ მოუხერხებელია! ვის უნდა მივცე ციცაი, ვის? მარტუაი გაფხეკილ აზნაურშვილს? აბდალაი ვარ, თუ რაი? სხვას რო თავი დავანებოთ, მაზე ძალიანი ფინოი ხმებია: ქურდს იმას უძახიან და პლუტს. (ქეთო თავს ჩაქინდრავს).

ქეთო.—წინათ-კი მეჩიჩინებოდი—მოჩხუბარიძე ამფერია-იმფერიაო: ეცადე, ცავ, თავი მოაწონეო და ძალაი ჯინზე ახლა წახდა და მიეღო ბოლო? ახლა ქურდიცაა და პლუტიც!

ნინო.—ღმერთო, გამაგდებიე სული და ქია! რავა, რას ყურობს ამას ჩემი დასაფსები ყურები? აპა, გოგო, მე აფერი-სიკეთე მდომებია შენთვის? ალარ იცი, შენ სამიწევ, რო მაშინ სხვაი დროი იყო და ახლა სხვაია? მაშინ მამაშენიც ქი იყო ცოცხალი, მარა ახლა შავ მიწას ქვეშაა. რამ დაგიკარქა, ცავ, იხტიბარი, შენ მიწა გასახეთქელო, რამ? არა გცხვენია ქე მაინც, ამაზე ლაპარაკი? მომკალი ვიცხამ და ქია! ამის მეტი ციცაი არ მყავს; კოპლი არაა, ბრუციანი, სანთლით ვეძებ მაგიზა საქმროს, სანთლით, ეგება, ღმერმა ქნას და შეძლებული ვინმე ვნახო—მეთქინ. მაი-კი მაგას ფიქრობს. ფუ, შენ ქალობას, რა უჭკუო შენა ხარ. (პაუზა) დეილოცა, ღმერთო შენი სახელი და დიდება! (ადგება, ჯვარის სახეს გამოხატავს). ადე, ადე, ქალავ, დავწვეთ და მტერს მიეცა შენისანაი ჭკუიანი ქალი. ადე, ხვალე იალონზე უნდა ავდგე, სხვაგან ვარ წასასვლელი! (აიღებს დოქს და სანათს და სახლისკენ მიდის. ცოტა ხანს ბნელა. შემდეგ, ნელ-ნელა აბოდის თვარე. ქეთო თავჩაქინდრული ზის).

ქეთო.—(თავს აწევს).—რა ვქნა აწი, რავა მიძაგძაგებს, აი, გული? რაცხა ძალიან მეშინია. რაფერ ვქნა, რომ არ ვიცი? წავალ დაიკარგ

რა დამაკავებს? ამ ჯარგვალას-კი არა ციხეს დავანგრევ. შევალ შიგ და, მერე, მე ვიცი. დედაბერმა, თუ ღრინი დაბერა, ზედ ლოგინზე დავაკლავ, იმას-კი, მერე, რაც მინდა, იმას ვუზამ. სულ ერთია, ხვალ, თუ ზეგ თფილისში მოვადენ ფხეკას. რა მენაღვლება: ცა ქუდათ მაქვს და მიწა—ქალამნათ! (კიდევ მიაყურებს). ოხ, როგორ გადამაყოლა ამ წყეულმა, როგორ? რა ხერხი და ოინები არ ვიხმარე, მარა არ იქნა და ვერ ჩავიგდე ხელში! დღეს შემოუთვალე-თუ ამელამ პაიმანზე არ გამოდი, იმით მიეხვდები, რომ აღარ გიყვარვარ და, მერე, მშვიდობით, ცოცხალს ველარ მნახავ მეთქინ. (ილიმება) ჰმ, საწყალობელი! მართლა. თუ, ნეტა, ფიქრობს, რო მიყვარს, ცოლათ შევირთავ? მართალია, ერთ დროს ვფიქრობდი მის ცოლობას, მხოლოთ რამდენიმე დღით და არა სამიდღემჩიოთ. სიყვარულის-კი არაფერი ვიცი. ჩემის აზრით, სიყვარული მხოლოთ ისაა, როცა ვინც მოგეწონება, იმას ჩაეკონები გულში. (აყურებს) სსსუ, რაღაც ისმის, ვგონებ, მისრულდება კიდეც დიდი ხნის წადილი. (ახორიდან გამოდის ქეთო. დავით სიხარულით) აა, ახლა-კი ჩემი ხარ! (მიირბენს მასთან, ხელს მოხვევს და უნდა ჩაეხუტოს, მარა ქეთო გაუსხლტება).

ქეთო. — ვაიმე, მაი, რავა შეიძლება? ჯერ როგორც და-ძმაი ისე, უნდა ვიყოთ!

დავით. — როგორ, თუ და-ძმაი, ქეთო? რა დროს მაგია? განა შენ ეპვი შეგდის ჩემს სიყვარულში? განა არ გიყვარვარ? მაშ, აქ რაღაიზა მომიყვანე?

ქეთო. — რეიზა ამბობ მაგას, დავით, რეიზა? რავა არ მიყვარხარ. მარა ჯერ ჯვარი უნდა დევიწეროთ! (დავით ველარ მეითმენს, გადაეხოვა და ძალით აკოცებს. ქეთო გაუსხლტება ხელიდან) ნენაია, ჩემი სიკვდილი და ქია რავა, რა ქენი მაი დავით, რა ქენი? (სახლში შესვლას დააპირებს, მარა დავით წინ გადაეღობება.)

დავით. — ქეთო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ანგელოზო, ნუ თუ ერთ კოცნას იმადლები? განა ეს არი შენი სიყვარული? შენი გულისთვის ზღვაში გადავარდები, თავს დავიხჩოფ, შენ-კი ჩემთვის ერთ კოცნას იმადლები. ასე, თუა მე წავალ, გაგშორდები, თვალზეც-კი არ დაგენახები! (ვითომ წასვლას დაპირებს.)

ქეთო — (ტირილის ხმით). — რეიზა ამბობ მაგას, დავით, რეიზა? ეე... მე ისე ვთქვი, ჯვარის დაწერამდი—მეთქინ, თვარა...

დავით — (გახარებული). თვარა... გიყვარვარ ხომ? მაშ, რათ მაწვალებ? განა სულ ერთი არაა? ხო ჩემი ხარ? ძალით იქნება, თუ ნებით დედაშენს დავითანხმებ და ჯვარსაც ადრე დავიწერთ.

ქეთო. — (შეკრთება)—ვილაც მოდის, მგონია! (დავითი ხელებს მოხვევს).

დავით. — ნუ გეშინია, გენაცვალე, მე აქა ვარ! შენ თავს ღმერთსაც არ დავანებებ! (გაგიჟებით კოცნის, შემდეგ, ხელში აიტაცებს და ბაღში შეყავს).

სანდრო გურული.

(შემდეგი იქნება.)

(ფ ა რ დ ა)

ქორწილში.*)

თქვენთვის, ბატონო, რასაკვირველია საჭირო არ არი, გაამბოთ თელი ჩემი აუტანელი ცხოვრება კატორღაში... ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი: ადამიანის გონებას არ შეუძლია წარმოიდგინოს მეტი რამ საზარი, მეტი რამ აუტანელი... მარა ჩემზე, პირადათ, ყველა იმ ტანჯვას, რომელსაც კატორღა მაყენებდა, იმდენი გავლენა არ ქონდა, რამდენიც ქონდა ერთ რამეს: მე დღე და ღამ თვალ—ცრემლიანს, მუდამ მაგონდებოდა ჩემი ქვეყანა, ის ადგილები, სადაც დავიბადე და აღვიზარდე, ის არემარე, სადაც ჩემი ბავშობა-სიყმაწვილე გავატარე, სადაც ნათესავ-მოძმეები, მტერ-მოყვარე, ტოლ-ამხანაგი მეგულებოდენ, მახსოვდა და უზომოთ მიყვარდენ ყველანი და ყველაფერი, ვინც და ან, რაც ჩემ მშობელ ქვეყანაში, ჩემგან ნაცნობი და ნახული იყო.. შესაძლოა, თქვენთვის დასაჯერებელი არ იქმნეს, მარა მე მაინც მოგახსენებთ, რო ძილის დროს, მუდმივი

*) იხ. „ცხოვრება," № 15.

ჩემი სიზმარი, ხოლო ცხადში-კი თვალ წინ წარმოსადგენი და მარად სანატრელი ჩემი ქვეყანა და მისი არე-მარე იყო.. მარა ყოველივე იმედი დაკარგულათ მიმაჩდა და მე სრულებითაც აღარ მოველოდებოდი, რო კვლავ მეღირსებოდა ოდესმე ჩემი ტურფა ქვეყნის და ჩემიანების ნახვა.

სწორეთ შორეულ აღმოსავლეთში, ომის დაწყების დროს, გათავდა ჩემი კატორღის ვადა. გავთავისუფლდი თუ არა კატორღიდან, ციმბირის ერთ პატარა მიყრუებულ ქალაქში დავბინავდი. ძნელი იყო მაშინდელი ჩემი მდგომარეობა: არაფრის არა მქონეს, ჩაუცმელ დაუხურავს, მშიერ-მწყურვალს ნაცნობ-მეგობარი, რასაკვირველია, იქ არავინ არ მყავდა, სამუშევარიც არაფერი არ აღმომიჩდა და ვიყავი უზომოთ გაჭირებული. მარა მიშველა ღმერთმა და ამ გვარი ჩემი მდგომარეობა მალე უკეთესით შეიცვალა: ერთმა ადგილობრივმა ვაჭარმა მუშათ დამიჭირა და მით უსაქმოს საქმე და მშიერს პური გამიჩინა. ამ ვაჭარს ბევრი საქმე ქონდა, სხვათა შორის, მომქმედ ჯარს საჯალავო საქონელს აბარებდა. მე ხშირათ მიხდებოდა, ვაჭრის საქმეების გამო, ჯართან დაახლოვებით ყოფნა. ამ დაახლოვებით ყოფნამ-კი სამხედრო ცხოვრებას შემაჩვია და, უნდა გამოვტყდე, რო მეომრის ყოფა-ცხოვრება ძლიერ შემიყვარდა.

მოვიწადინე ჯარში მოხალისეთ შესულვიყავი. მე დიდი სიამოვნებით მიმიღო მოხალისეთა მაშინდელმა უფროსმა, დაწვრილებით გამომკითხა ვინაობა.. რასაკვირველია, მისთვის მე არაფერი არ დამიმალავს, ყველაფერი ვუამბე, ვუთხარი ისიც, რო კატორღა გამოვლილი მქონდა. მიზეზიც ვუხსენი ჩემი კატორღაში ყოფნისა.

მოხალისეთა უფროსმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ჩემი გარეგნობით დარწმუნდა, რო გამოსადეგი ვიქმნებოდი და კიდეც ჩამრიცხა თავის რაზმში.

ჩვენ რაზმში სულ ათი-თუთხმეტი ქართველი მოხალისეები ვიქმნებოდით. ესენი ჩემებ კატორღა და როტა გამოვლილები იყვენ... ახლაც-კი მიკვირს ერთი რამ: აქ, სამშობლოში მათგანს ერთსაც არ ვიცნობდი, არც ისინი მიცნობდენ მე და იქ-კი, უცხოეთში პირველ შეხვედრაზედვე ჩვენ ერთმანეთისთვის არა თუ ნაცნობი შევიქენით, ნათესავებიც გავხდით, ძმები, მეგობრები... გულმა გული იცნო და სულმა-სული. თუმცა, ომიანობის გამო, მუდამ საფთხეში ვიყავით და სიკვდილსაც წამ და უწუმ მოველოდებოდით, მარა ერთათ ყოფნა ჩვენ, ყველას, ამ გვარს მდგომარეობას გვიადვილებდა.. გვიადვილდებოდა მძიმე მდგომარეობა მით უფრო, რო თითოული ჩვენთაგანი რაღაც ბუნებრივ სიყვარულს ვგძნობდით ერთმანეთისადმი და ძმური მზრუნველობითაც ვეპყრობოდით ერთმანეთს.

მახსოვს, ერთი შემთხვევა: ზვერვის დროს ჩვენი რაზმი, (უმეტეს ნაწილათ, მზვერაობას ეწეოდა), ჩასაფრებული მტრის რაზმს წავატყდით, ხელ-ჩართული შეტაკება მოგვიხდა და, ბოლოს, თუმცა ჩვენ გავიმარჯვეთ და მტრის რაზმი ერთიანა გავწყვიტეთ, მარა ჩვენ, ქართველებმა ერთი საუკეთესო ამხანაგი დავკარგეთ. ეს იყო მეგრელი. საბრალო სასიკვდილოთ დაიჭრა. ჩვენ, გადარჩენილი ამხანაგები, შემოვერტყით გარს უიმედოთ დაჭრილს მოძმეს, იმედს ვაძლევდით. მარა თითოული ჩვენთაგანის მწუხარება უზომო იყო; რათგან ცხადათ ვხედავდით მის უმწეო მდგომარეობას. ის, თუმცა გაჭირვებულ მდგომაობაში იყო, მარა კიდევ გვითხრა: „მშვიდობით, ძმებო! იყავით კარგათ და გფარვიდეთ ღმერთი, გიყვარდეთ ერომანეთი და ნუ დავიწყებთ თქვენს ქვეყანას, თქვენს ლამაზს სამშობლოს.. გახსოვდეთ, რომ ის დედაა ოქვენი და თქვენ მისი შვილები და ერთმანეთის-კი ძმები ხართო; ღმერთმა რომ ამ უცხოეთში ბატონობა მოგცეთ, გული მაინც სამშობლოსკენ იქონიეთო! ბოლოს, ესეც-კი გვთხოვა საბრალომ! „ვიცი, აქ მე მიწის მიუბარებლათ არ დამტოვებთ, მარა, თუ მოახერხოთ ომის გათავების შემდეგ, წაიღეთ ჩემი ძვლები ჩ ი ქ ჩემ სამშობლო მიწას მიაბარეთო!..“

ჩვენ აღუთქვით და მომაკვდავთან ფიციც-კი დავდევით, რომ ამ სურვილს მას, უეჭველათ, შევუსრულებდით. მარა გაგვიტყდა ფიცი

რათგან ის არე-მარე მტერს დარჩა და, შემდეგ, ჩვენთვის მიუვალი შეიქნა იქაურობა...

არ ვიცი, თქვენ გამოგიცთიათ თუ არა, სამშობლო ქეყნის გარეშე ყოფნა. მარა მე-კი ჩემი საკუთარი გამოცთილებით ვიტყვი, რო სამშობლოს გარეშე იძულებითი ყოფნა დიდი რამ, აუტანელი სასჯელია... მუდამ თვალწინ გელანდება შენი მშობლიური არე-მარე, შენი მოძმე-თანამემამულეები, მტერ-მოყვარე... მზათ ხართ, თითქმის ყველაფერი დათმო, ოღონდ კი ისინი ნახო, შენს ქვეყანაში დაბრუნდე... მარა ვერ ახერხებ ამას, რათგან არა გაქვს ამის საშვალება... საშინელი მდგომარეობაა...

მე ერთი რამეც შემინიშნავს: უცხოეთში ადამიანი, ვთქვათ, დიდ ხანს დარჩა..სულ ერთია ეს დარჩენა იძულებითი იყო, თუ საკუთარი სურვილით.. ბოლოს, ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას, ის მიეჩქარება, მიდის იქ... მარა შემდეგ, სულ მცირე დროისა, კვდება და ებარება თავის მშობლიურ მიწას... აქ შესამჩნევი ისაა, რო მშობელი არე-მარე იზიდავს და იწვევს თავის შვილს, რომელიც უკანასკნელათ უნდა ჩაიკრას მან გულში და სამუდამოთაც მიიბაროს..

შეიძლება, ვინმემ თქვას: სიკვდილ-სიცოცხლე, სადაც უნდა მოხდეს, სულ ერთიაო. მარა ეს არ არი მართალი, რათგან სამშობლოს სიყვარული ბუნებრივი-თანშობილი ძალაა და, ამ სიყვარულით შექნილი თანშობილივე ძლიერი მიმზიდველობა სამშობლოსადმი ადამიანისა ამ თქმას არ ამართლებს...

ბევრი, ძალიან ბევრი მაგალითი ვიცი მე ამ გვარი: დიდი ხანით ცხოვრობდენ უცხოეთში, ქონებაც შეიძინეს იქ, ცოლ-შვილიც გაიჩინეს; მათ ადრე ფიქრათაც არ ქონდათ სამშობლოში დაბრუნება, მარა იგძვნეს თუ ერა აღსასრულის მოახლოვება, მათ დატოვეს უცხოეთი, აიყარენ და დაბრუნდენ თავიანთ სამშობლოში... დაბრუნდენ მხოლოთ იმისთვის, რო მათ უხილავათ იწვევდა მშობლიური მიწა, რომელსაც, სიკვდილის შემდეგ, იგინი უნდა მიებარებინა და, ამ გვარათ, უკანასკნელათ გაეწია მათთვის დედობა.

ჩვენ რაზმში ერთი ოსიც იყო. ხშირათ იტყოდა ხოლმე ის: არაფერი არ მინდა, ოღონდ ჩემ ქვეყანაში დაბრუნება მეღირსოს და იქაურ მიწას მივებაროო.

ამ გვარია, ბატონო ჩემო, ადამიანის ბუნება! ომის დროს, უფროსების ყურადღება დავიმსახურეთ, რათგან ჩვენ ვალდებულობას კარგათ ვასრულებდით და, ამის გამო, კიდეც მივიღეთ უფლება სამშობლოში დაბრუნებისა. სწორეთ ხელმეორეთ დავიბადეთ იმ დღეს, როდესაც ეს გამოგვეცხადა. სიხარულით არც-კი ვიცოდით, რას ჩავდიოდით, ერთმანეთს ვკოცნიდით, ვულოცავდით ბედნიერ შემთხვევას...

რასაკვირველია, ამის შემდეგ, ჩვენ დიდ ხანს აღარ დარჩენილვართ იქ და ყველანი ერთ დროულათ გამოვემგზავრეთ სამშობლოსკენ და აქ-კი, როცა ჩამოვედით, დავლოცეთ ერთმანეთი და ჩვენ-ჩვენ სოფელში წავედ-წამოვედით.

მას აქით სწორეთ ორი წელიწადია და მე არც ერთი მათგანი აღარ მინახავს. მარა, დარწმუნებული-კი ვარ, რომ ისინიც ჩემებ ბედნიერი იქნებიან: თუ მოკვდა რომელიმე, თავისიანები დაიტირებდენ და თავის მშობელ მიწას მიებარებოდა და ცოცხალი-კი ჩემებ თავისიანებში ლხინი და ჭირის თანაზიარი იქნება და ეს-კი, ბატონო ჩემო, დიდი, დიდი ბედნიერებაა!...

— გყავთ ვინმე აქ მახლობელი ნათესავი? —შეეკითხე მე.

— როგორ არა, მკვიდრი ძმები მყავს და, ეგეც რომ არ იყოს, ჩემი მეზობლები ჩემთვის იგივე ძმები არ არიან? მე უცოლ-შვილო ვიყავ თავიდანვე და, რასაკვირველია, არც დღეს მყავს ცოლ-შვილი: ვცხოვრობ ძმებთან, მათი შვილები ჩემ საკუთარ შვილებათ მიმაჩნია და მიყვარან კიდეც... მეც, თითქმის ყველას მივაჩნივარ აქ და პატივსა მცემენ. მარა მარტო ამით არ ვარ მე ბედნიერი. ბედნიერი ვარ, განსაკუთრებით მით, რო ველირსე ჩემ დიდათ საყვარელ სამშობლოში დაბრუნებას და, რო ჩემივე საყვარელი მშობლიური მიწა, სიკვდილის შემდეგ, მიმიბარებს მე...

სტუმრები ძალზე შემთვრალნი ხმაურობით, სიმღერით აიშალენ სუფრიდან და ბევრმა, მათგანმა ცეცხლს მოაშორა; ბაასის გაგძელება შეუძლებელი შეიქნა და ამისთვის ნიკოც გაჩუმდა.

IV

მას აქით კარგა ხანმა გაიარა. მე გაღმა სოფელში აღარ ყოფილვარ და არც ნიკო ნაციმბირალი შემხვედრია სადმე. მხოლოთ წარსულ ზამთარში, ჩვენ სოფელში მთიდან დამშეული ნადირი ჩამოვარდა და სოფელი აგვიწიოკა.

თუმცა-ღა დროული ვარ, მარა, როგორც ძველი მონადირე, სხვებთან ერთათ მეც დავედევნე თოფით ჩვენ დამრბევ ნადირს. გაღმა სოფლამდი, გვადევინა იმ წყეულმა და იქ-კი მოვუღეთ მას ბოლო. დაღამდა. შინ დაბრუნება ღამით ძნელი იყო და ამიტომ ჩემი ნათლული ანდროს სიმამრს, ივანა გოროზაშვილს ვეწვიე ღამის გასათევათ.

ივანიას ჩემი სტუმრობა ძლიერ გაუხარდა. იმ ღამეს გამიმასპინძლდა და კარგათაც დამაბინავა. მეორე დღეს, ნიკო ნაციმბირალი მომაგონდა და ივანიას მისი ამბავი ვკითხე.

— ცოცხალი აღარ არი, შემოდგომაზე გარდაიცვალა, მითხრა ივანიამ.

ძლიერ მეწყინა...

—ავათ სულ არ ყოფილა, სადღაც შეცივნოდა; თავის ძმისთვის ეთქვა: მოძღვარი მომგვარე და მეზობლებიც მაჩვენეო. ყველანი მივედით ქალ-კაცობა. სასიკვდილო, თითქმის არაფერი არ ეტყობოდა, კარგათაც ლაპარაკობდა... მშვიდობით, ძმებო და დებო! — გვითხრა, დაგვლოცა ყველანი... გასაკვირველი ისაა, ზოგიერთივით არ ეშინოდა სიკვდილის. —მის გასვენებას თელი სოფელი, დიდი და პატარა, ქალიან კაციან დავესტარით და, აი, იმ ჩვენი ეკლესიის გალავანში მისი დედ-მამის გვერდით, მავაბარეთ მიწას! —დაათავა ივანიამ.

გამოვემშვიდობე მასპინძელს და ჩემი სოფლისკენ გავსწიე.

თავ-თეთრი.

ილია ჭავჭავაძე.*)

ნ. ბარათაშვილმა თვისი პოეტური მოღვაწეობა დაიწყო ოცდა ათიან წლებში და, ჩვენდა სამწუხაროთ, გაათავა 1845 წ. იგიც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, ხოლო იმ გასხვავებით, რომ იგი უფრო სულის შვენიერებას ხდიდა ტრფიალების საგნათ, ვიდრე ხორცისას...

ნ. ბარათაშვილმა გაწმიდა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს ცემდა, ვიდრე ხორციელობას. იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზე, რო მისნი გულისთქმანი, მისნი გძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიო არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი მიწვდენა სურვილის კაცობრიობის უღონობაა, რასაც ვამოთქვამს ლექსში „შემოღამება მთაწმიდაზე“...

ნ. ბარათაშვილს ხშირათ მოდიოდა ფიქრათ საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო თვის გულში-კი არა, თელი კაცობრიობის გულში, რასაც გამოთქვამს ლექსში „ფიქრი მტკვრის პირათ“...

ცხოვრების ამოების ფიქრმა ადრე იჩინა თავი იმის გულში, რასაც ამბობს “ხმა იდუმალში“. ამისანა „იდუმალი ხმა“ ხვედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით პოეტი ამბობს ნაპოლეონზე.

საზღვარ დადებული სიგძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენი პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას წყურია ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და „ნიავს მიცეს თვისი შავათ მღელვარე ფიქრი“, რო დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლიუციფერი აიჩინა; გეთეს ფაუსმა - მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თვისი „მერანი“, ესე იგი, თვისი სულთ ქროლა.

ეს მსუსხავი და მწვავი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ჭარტეხილისგან მოვლენილა. განა საკმაო მიზეზი არ არის ასე-

*) კრიტიკა და ნ. ბარათაშვილის ნაშთის გადმოსვენება თფილისში. გ. იოსელიანისა, უადგილობის გამო, ამ ნუმერში არ იბეჭდება. რედ.

თი თავგაწირულ სულის კვეთებისა და ეს სულისკვეთება, განა ზოგად კაცობრიული არ არი? მაშ, მაშინ არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი ყოფილა ზოგად კაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით აღვსილი ჭკუა დღემუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თვისი ხელითვე აქცევს, იმავ სადგომს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ დაქცევა შენებით დაღალული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდან დღეინდლამდი, არ ეძებს მოსვენებისთვის სადგომს და მაგ სადგომის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არი ზოგად კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არი, რო მიზეზი აქვს ძებნისა და ვერ უპოვია? აი, სად არი სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, ის თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოველიფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანდახან, ასე დაიპყრობს ხოლმე თელ მოაზრე კაცობრიობას და მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებას...

ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენ გულისთქმას, ჩვენ ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მიცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოაზრეთ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვლის შემდეგ, არც ერთი მწერალი აღარა ყოლია ჩვენში და სწორეთაც, რო ვთქვათ, ბაირონები, ღერმანტოვებიც მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად ტოვებენ, რათგანაც ტვირთი მათებ კაცების მემკვიდრობისა „არ არს სუბუქ“.

პროფესორი ალ. ცაგარელი

„ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას ჩვენ ლიტერატურაში, ერთად-ერთი, განცალკევებული; არც თვით მისდეედა ვისგანმე დაქნილ ბილიკს და ვერც არავინ, იმის შემდეგ, იმისგან თელილ გზაზე გაიარა; ის არ საჭიროებდა სხვის მიბაძვას და იმას-კი ვერავინ მიბაძა; თავისთვის, თვითვე გაჭრა გზა და, იმის სიკვდილის შემდეგ, იმის კვალი ისეთივე უვალი მიდორი შეიქნა, როგორც ადრე იყო. ვიღაცამ თქვა, რო ნ. ბარათაშვილი ჩვენი ბაირონი არისო.—ამ სიტყვებში, მართლა და, ბევრი ჭეშმარიტება არი და არც არაფერია სათაკილო ამ შედარებაში ინგლისის დიდ პოეტისთვის: ისიც ისეთივე მაღალი და მიუბაძავია პოეზიისა და ხასიათის კილოთი, როგორც ესა. კაცი, თითქმის ყოყმანობს ღრმათ ჩათუთქულ მოძმეს, გულით ჭირისუფალს— „ქართველი“ დაუძახოს. მე არ მინახავს ჩემ დღეში ქართველი, წარბ-შეკრული სამოქალაქო გძნობისგან და მაღალი კაცობრიულ აზრებისგან შეკომლილ სახით.

„თუ თვალს გადავავლებთ, ნ. ბარათაშვილის რკინისა და ფოლადის ლექსებს, მაშინთვე წარმოიდგენთ კაცს, რომელიც ყველაზე მაღლა დგას გძნობით, ნიჭით და ხასიათით,—იალბუზივით მიუკარებელი... მაღალი, შორს გამჭვრეტი, ყველა მხარის მხედველი, მუდამ თავ და შუბლ წაბურული, როგორც იალბუზი, მარად გარემოხვეული გულის მკვლელი და მომწყველელ სევდის ნისლითა...

„ამ ჩვენი სასიქადულო პოეტის ლექსებზე ენაზე ის უნდა თქვას კაცმა, რაც იმის საკვირველ ბუნებაზე ითქმის: გძნობის ძალით და სიმაღლით, ჭეშმარიტ პოეტურ წარმოდგენით, თავისუფალ ძალ დაუტანებელ ლექსის მიმდინარობით, მტკიცეთ და ცხადათ საგნის გამოხატვით, სულთქმა-გულისთქმათა გამოთქმით, პოეზიის ყოვლად შემრხეველ კილოთი, რომელიც პირდაპირ მკითხველის გულს ეტანება და სწორეთ იმას აგძნობიებს მკითხველს ან მსმენელს, რაც პოეტს უნდა ეგძნობინებია,—ყველა ამ გასაოცარ დიდ პოეტურ თვისებით, ვამბობთ, ძნელი შესადარებელია ის ყველა დანარჩენ ქართველ პოეტებთან, შოთა რუსთველის გარდა.

„ქართული ენა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა დიდათ დახელოვნებული და შემუშავებული არის: არც სულ ძველი, არც ახალი, არც მწიგნობრულ ხუცური, სწორეთ ისეთია, როგორც უნდა იყოს ლიტერატურის და პოეზიის ენა. ლექსთა-წყობა შეგნიერია; რითმა

გასაკვირველი ხელოვნებით არი გამოთქმული... პირდაპირ გულის სიღრმიდან წყაროსავით მოჩუხჩუხებს გამაცხოველებელი გძნობა და პოეტური წარმოდგენა... ამის ლექსი შეეხება ყველა ნაირ საგანს. მარა, რაც გინდა ქალწულოვან და დამატკბობელ საგანზე უნდა დამღეროს, მაინც და მაინც რაღაც ნაღვლიან სევდის კილოს გაადევნებს; რაც უნდა ერთმანეთის წინააღმდეგ საგნებზე ლექსობდეს, მაინც ენასაც და ლექსის კილოსაც იმგვარათ შეუფარდებს და შეუწონს ლექსის საგანს, რო კაცს უჭირს წარმოიდგინოს, თუ ერთსა და იმავე კაცს შეუძლია სრულიათ წინაღმდეგ გძნობების ასეთი ხელოვნებით გამოხატვა და გამოთქმა; კაცს უჭირს დაიჯეროს, რო ლექსების: „სულო ბოროტო“, „ჩემს მერანს“, ან „ფანტაზიის“ ავტორს ამ გვარი ქალწულოვანი ლექსები დაეწეროს, როგორც „მადლი შენ გამჩენს, ლამაზო ქალო, შავ-თვალებიანო“ და „თვალები“.

გ. თუმანიშვილი.

პოეზიას, თუნდაც უფრო კულტურული ქვეყნებისას, ძალიან იშვიათად მოუცია ისეთი ბწყინვალე წარმომადგენელი, როგორიც იყო ბარათაშვილი. იგი იყო არამც თუ უდიდესი ტალანტი, არამედ იმავე დროს, სინათლის სხივი იმ დროის შაბლონურ სპარსულ კილოზე გაბერილ სანტიმენტალურ პოეზიის ნაწარმოებთა სიბნელეში. მედგარი და ძლიერი ლექსი, ღრმა, როგორც უკვანე, —მწუხარება მებძოლისა, რომელიც ვერ იცნო საზოგადოებამ, თავგანწირული სიყვარული კაცობრიობისადმი— ყოველივე ეს იყო, ისეთი უჩვეულო საოცარი რამ 30-იან და 40-იან წლების ქართულს და არა მარტო ქართულს ლიტერატურაში, რომ ადვილი წარმოსადგენია თელი ის სიმწარით სავსე ფილა, რომელიც შესვა ბოლომდი უდროოთ დაღუპულმა პოეტმა.

უპირველესათ ყოვლისა, აცვიფრებს ყველას ბარათაშვილის ზნეობრივი ფიზიონომია; თვისი დროის პირების საზოგადო ტიპთან მსგავსებით. იგივე ჭარბი სულიერი ძალ ღონე და ალმა-ფრენა, იგივე ცხოვრებაში იმედების გაცრუება და გულის გატეხა, ბაირონიზმი პოეზიასა და სინამდვილეში და, ბოლოს კი, ნამდვილათ გაშმაგებული გატაცება ბწყინვალე საზოგადოების ქარა-ფშუტობით. პეჩორინები და ლერმონტოვები მისდევდენ სამხედრო სამსახურს, რომელიც იზიდავდა მათ თვისი თავგადასავლით და მღელვარებით, და ნ. ბარათაშვილსაც საშინლათ სურდა იგივე მოღვაწობა. არც კანცელარიას და არც საპოლიციო სამსახურს, რასაკვირველია, არ შეეძლო პოეტის დაკმაყოფილება და მასაც გაგიჟებით სურდა შეერთებოდა საზოგადოებას და ეცხოვრა ერთად მასთან მისი ცხოვრებით.

მას, რომელიც სადაც-კი შედიოდა, შეექონდა ლხენა და სიხარული, იცის ღრმათ ჩაფიქრება და მოწყენა, საწუთროს წყევლა და შეჩვენება. და, ამას გარდა, ოვისი ძლიერი ლექსებით მკითხველს გვრის უსასოწარკვეთილეს სევდა კაეშანს. მისი პოეზია—არის უდიადესი საღმრთო არმონიული, მარა მით არა, ნაკლებ სამგლოვიარო ჰიმნი.

ვ. წერეთელი.

რო შევადაროთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი შატობრიანისა, ბაირონისა, პუშკინისა და ლერმონტოვის რომანტიზმს, ამოვაჩენთ, რო შატობრიანის გმირებს ცხოვრების მოყირჭების მიერ წარმოშობილი სევდა კლავს, ბაირონის ტიპები წარმოადგენენ ტიტანებს, რომელთაც, წაწყმედილი აქვთ რწმენა, მარა შეუპოვრათ ებძვიან ცხოვრებაში გამეფებულ ტრდიციებს და სამოქალაქო მონობას. პუშკინის ევგენი ონეგინს და ლემორტოვის პეჩორინს ცხოვრება, მოყირჭებული აქვთ და სიცოცხლის მიზანს ვერა პოებენ.

ნ. ბარათაშვილს-კი, თუმცა ცხოვრების ამაოება აღელვებს და აწუხებს, ყმაწვილის „ბრმა სარწმუნოება“ დაკარგვია, მეგობრობაც-კი აღარ წამს და სულით ობოლს უწოდებს თავს, მარა იმედი მაინც გულში უღვივის, დამის პოეზიაში სულ ს ხვაგვარი, უმანკო, ნორჩი, ჭაბუკური არ მოყირჭებული, მსასოებელი და ნუგეშმომცემელი ხმა ისმის.

ეს არი ქართული რომანტიზმის ნიშნობლივი თვისება ნიკოლოზ ბარათაშვილიდან დაწყებული, აკაკი წერეთლის პოეზიამდი.

და დღეს, თუ რომანტიზმის დრომ გაიარა და რეალური მიმართულების ხანაში შევდგით ფეხი, რომანტიზმი —აუცილებელი წინამორბედი ლიტერატურული საფეხური იყო. და, თუ ჩვენ თაობას რაინდული, კეთილშობილი, ზეაღმაფრენი ეროვნული და სოციალური სწრაფვა და იდეალები დანერგილი აქვს გულში, წყარო, რომელმაც ეს სწრაფვანი და იდეალები წარმოშვა და აღზარდა, შოთა რუსთველის, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა დიდი მწერლების რომანტიზმია.

ი. გომართელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელსაც მოწიწებით, თაყვანისცემით უნდა იხსენებდეს ყოველი ქართველი, თუ-კი მას ქართველობისა შერჩენია რამე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ის პირია, რომელითაც უნდა ამაყობდეს ყოველი ქართველი, ვისაც-კი ესმის, თუ რა არის ეროვნული სიამაყე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელიც ძლიერი სისპეტაკის სხივით ანათებს ჩვენ შავბნელ ცხოვრებას და ყოველ ქართველს, რომელსაც-კი თვისი სამშობლოს სვეტბედი აფიქრებს, აღონებს, უკიდურესი სასოწარკვეთილების დროსაც-კი ამხნევებს და გულს იმედით უვსებს. —და მართლაც, უგულო, ულულო, უკულტურო ერი ნიკოლოზ ბარათაშვილს ვერ წარმოშობს. ამისანა შვილები მხოლოთ დიდ-ბუნებოვან, დიდ-სულოვან და მაღალი კულტურის ერებსა ყავთ...

საქართველოს პოლიტიკურათ სიკვდილმა პოეტს თვალწინ დაუყენასაკითხი მამულის ყოფნა-არ ყოფნისა. ეს საკითხი თელი თვისი სიძნელე საშინელებით პოეტის წინ იყო ამართული და რამდენათაც უფრო ძნელი იყო საკითხის გადაწყვეტა, იმდენათ ღრმა იყო ბარათაშვილის სევდა და სულიერი ტანჯვა.

როდესაც ქველი სოლომონი ეუბნება ირაკლის—რო ქართველებს არად მიაჩნის უბედურება, თუ აქვთ თვის ჭერქვეშ თავისუფლებაო, ეს სიტყვები ნიკ. ბარათაშვილის სიტყვებია...

მარა არ გეგონოთ, რო პოეტის იდეალი წარსული იყოს. არა. პოეტი უპირატესობას აძლევს მშვიდ მოქალაქობრივ ცხოვრებას და სწავლა განათლებას. მარა წარსულში არის ის, ურომლისოთაც სამშობლოს დიდება და ბედნიერება პოეტს ვერ წარმოუდგენია... სამშობლოს უბედურება გამოწვეულია პოეტის ფილოსოფიური პესიმიზმით განაყოფიერებული და იმის გძნობიარე გულში გაღვივებული სევდა თან და თან გადიქცევა სოფლიო მწუხარებათ და ბარათაშვილის ნიჭის სიდიადეც სწორეთ აქ აშკარავდება. ეროვნულ ნიადაგზე მან შექნა სოფლიო სევდით, საკაცობრიო გძნობებით გამჭვალული პოეზია.

ნ. ბარათაშვილის ტანჯვა თელი საქართველოს ტანჯვაა. პოეტის გულის კვნესა თელი საქართველოს გულის კვნესაა. ბარათაშვილის სევდა თელი საქართველოს სევდაა; პოეტის ობლობა და მარტოობა თელი საქართველოს ობლობა და მარტოობაა. პოეტის შავი ფიქრები თელი საქართველოს შავი ფიქრებია. ბარათაშვილის სულიერი დრამა— თელი ჩვენი მამულის სულიერი დრამაა.

ბარათაშვილი გულია საქართველოსი. საქართველოს უნუგეშობამ, ქართველი ხალხის სულის კვეთებამ, გულის კვნესამ და სევდამ ბარათაშვილში პოვეს თვისი ნამდვილი გამოხატულება.

და დღეს საქართველოს განყენებულ იდეას რო შეეძლოს ჩვეულებრივის ადამიანურის ენით დალაპარაკება, იმავე სევდას, იმავე ამაოებას, იმავე ობლობას, იმავე განწირულ სულის კვეთებას, იმავე გულის კვნესას მოგვითხრობდა, რითიც გამჭვალულია ბარათაშვილის პოეზია.

ბარათაშვილის სევდა დღესაც შავი ზეწარივით გადაფარებია ჩვენ ბედ-კრულ სამშობლოს. ნუ თუ არაოდეს არ გაიფანტება ის? ნუ თუ არაოდეს არ შეიცვლება ბედნიერი ქართველი ერი მხიარულ სიმღერათ?!

მეოთხე ჩემი ეპისტოლე დეკანოზ იოსებ წერეთლის მიმართ.

საულ, საულ! რას მდევნი მე?
საქმე მოციქულთა.

მაკურთხეთ, მამაო დეკანოზო, რათა კვლავ გარდმოვიდეს მადლი თქვენი ჩემზე და ჩემგანც მიიღეთ მამაშვილური ამბორი თქვენ ნაკურთხ წვერზე.

როდესაც თქვენი უკანასკნელი ეპისტოლე მივიღე, მამაო იოსებ, საგონებელში ჩავვარდი და თავი მივეც სინანულს. მერე, მეყვსეულათ წამოვდექი, გავშალე პატარა ხალი, რომელსაც დილაობით, ლოცვის დროს, ვხმარობ, დავიჩოქე ზედ, აღვაპყარ ხელები ზეცათ და გულისა სიხარულითა ლოცვაში ასე გალობდა ენა ჩემი: „ნუ გეშინის, რათა კვლავ იხილო თვალითა შენითა დეკანოზი იოსებ, კიცვსა ზედა ვირისასა მჯდომარე, მოჩინდრიკობდეს ეშმაკისა ცოფით შეპყრობილი. უფალო ყოველისა შემძლებელო! განასხი მისგან ეშმაკი და განკურნე იგი და განბანე იგი საბანებელსა მას სილოამისასა, რათა ბრმა იგი, ხედვიდეს“.

გავათავე, თუარა პირველი ლოცვა, მამაო იოსებ, გადავედი მეორე საგალობელზე: „ნუ მისცე, უფალო, სიტყვისაებ შენისა, სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენ მარგალიტსა შენსა წინაშე ღორთა, ნუ უკვე დასთურგნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განხეთქენ შენ“.

ვფიქრობ, მამაო იოსებ, უფალმა შეისმინა მხურვალე იგი ჩემი ვედრება და განგკურნათ თქვენ და ამისთვის მეც განვიზრახე პასუხის გაცემა.

თქვენი პირველი ეპისტოლე რო მივიღე მარტში, მე მაშინვე გაახელით პასუხი, რათგან მივხვდი, რა სენით ბძანდებოდით შეპყრობილი და მორიდებით გირჩევდით გელოცათ. მეგონა, ლოცვა და მეტანიები კარგათ იმოქმედებდენ თქვენზე და იმ ლოცვაში გთხოვდით მე ცოდვილიც არ გამოგეტოვებიეთ. იმ დროს, მე ცოტა უქეიფოთ ვგძნობდი თავს და ლოცვა-კურთხევა ჩემთვის ძალიან საჭიროც იყო.

როცა უკეთ შევიქენი და, მერე, სრულიათ მოვრჩი, მე თქვენ ლოცვას ვაწერდი ამ გარემოებას. ვფიქრობდი: ვიშოვე საკუთარი მლოცველი, დეკანოზი იოსებ და აწი არაფერი მიჭირს-მეთქი. თურმე, შემცდარვარ. თქვენი სენი უფრო გაძლიერებულა. ეს მისთვის მოხდა, რო ჩემი რჩევისთვის თქვენ ყური არ გიგდიათ.

ლოცვის მაგიერ, თქვე დალოცვილო, ამ რვა თვის განმავლობაში, სულ შარა გზაზე გივლიათ და ვინც-კი უსაქმო კაცი შეგხვედრიათ, ყველასთვის გიკითხავთ ჩემი ვინაობა და იმათგან შეთხუზული ჩემზე ჭორი, თქვენ ჭეშმარიტებათ მიგიღიათ. მერე, აბძანებულხართ არქიელის მთაზე და იქ საეკვო ცნობები შეგიკრებიათ ჩემ მამაზე და ამით ფიქრობთ ლელოს გატანას.

თქვენი ანაფორის ქვეშ, მამაო იოსებ, აქით-იქით მე თავებს ვხედავ თქვენი მეგობრებისას, რომელნიც გაბრიელის სისუსტით და და ავათმყოფობით სარგებლობდენ...

მე რო მოცალება მქონდეს და ხალხის არეულობის არ მეშინოდეს, ამ უშაქრობის დროს, ხელს ხელში ჩაგკიდებდით, მამაო იოსებ და არქიელის გორაზე გაგასეირნებდით. იქ არა ერთ სახლს ვნახავდით იმ ვაჟ ბატონებისას, რომელნიც ახლა მამაჩემზე საეკვო ცნობებს გაძლევენ. მარა, ვიმეორებ, არც მოცალება მაყვს და ხალხის „ბუნტისაც“ მეშინია...

ამისთვის იყო, რო თქვენ და თქვენმა მეგობრებმა, როგორც-კი დავიწყე ილ. ხონელზე წერა და ვახსენე მისი დამოკიდებულობა ეპ. გაბრიელთან, მაშინვე მოყევით ძველებურ განგაშს: გაბრიელს შეეხო და, არიქა, მივაყაროთ ქვა და გუნდაო. თქვენ გეგონათ, აგყვებოდათ ძველებურათ ქუჩა, და ამ დავიდარაბაში უმთავრესი საგანი ჩემი საუბრისა მკითხველთან, —დაიმარხებოდა. შეცდით, დრონი იცვალენ.

თქვენ ბნელ საქმეებს ვერაფერი დაფარავს. მე ხონელის ცხოვრებას ვწერდი, ვიგონებდი ჩემ საყვარელ მიცვალებულებს და თქვენ-კი, როგორც ქელეხიდან დაბრუნებული, გადამიჭერით გზა და ყელში მეცით კიჟინით: „არ გაბედო გაბრიელზეო“.

გძნობთ, უთუოდ, დანაშაულობას, რომელიც მიგიძღვით, როგორც გაბრიელთან, რო-

N 5, 25.15

მელსაც ატყვილებდით, ისე იმათ წინაშე, რო მელთაც აბეზღებდით განსვენებულ ღვდელ მთავარს.

შეგიძლიათ დაწყნარდეთ, როგორც თქვენ, ისე თქვენი მეგობრებიც, რომელნიც ახლა საეჭვო ცნობებს გაძლევენ ხონელზე და მის მამაზე.

თქვენ, ისე მცირე ვინშეები ბძანდებით, რო თქვენზე ლაპარაკსაც არ ვიკადრებ. სად გაგონილა ლომებზე მონადირე, მელა და ტუ-რაზე ნადირობდეს?! თუ ამ გვარ მონადირეებს გზაში პატარა მხეცებიც შამოაკვდა, უკაბედ შემთხვევას უნდა მივაწეროთ, უმნიშვნელო ნადირების დახოცვა.

სასაცილო არ არი, მამაო იოსებ, რო თქვენ იცავდეთ ეპ. გაბრიელს და აძაგებდეთ ღვდელ ლუკა ბახტაძეს, რომლის სიცოცხლეში, თქვენ ღირსიც არ იყავით მისთვის ფეხის საბელი გაგეხსნათ და ბოროტ-მომქმედათ — კი იხსნიებდეთ?!

გესმით ამ სიტყვას მნიშვნელობა? ჰოი, სავსეო ყოვლითა ზაკვითა და მანკიერებითა, მართლა, რო შვილო ეშმაკისაო და მტერო ყოვლისა სიმართლისაო?..

თქვენ, როგორც გაბრიელის დაახლოებულს, თვით აცხადებთ, მის კრებულში ვიყავიო, თორე მე არც თქვენი ვინაობა ვიცი და არც ის ბედნიერი კუთხე ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც სასუფეველისთვის ამზადებთ. არ შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ ნამდვილი მიზეზი ეპ. გაბრიელის და ღვდლის ლუკა ბახტაძის არა კეთილ-განწყობილებისა! იცით. რო გორ არ იცით, მარა თქვენთვის არ არი ხელსაყრელი ნამდვილი ამბავის გამოქვეყნება და-ამისთვისაა, რო ყოველთვის, როდესაც შემთხვევა გეძლევათ თქვენ ‌ᲔᲑ თქვენ მეგობრებს ფარისევლურათ დანაბავთ თვალებს და სხვის გასაგონათ ამბობთ: „დმერთმა შეუნდოს ხონელს ცოდვები გაბრიელის წინაშეო.“

„ჰოი, ნაშობნო იქედნეთანო! ვითარ ხელგემწიფების კეთილისა სიტყვათ, რამეთუ თქენ უკეთურნი ხართ“ და როდემდის ივლით ამ გვარი პირბადით?

მე, თქვენ დასაჯერებლათ კი არა, მკითხველის გასაგებათ, ილ. ხონელის ცხოვრების აღწერაში, რომლის გაგძელებაც მალე დაიბეჭდება, ვრცლათ ვეხები, როგორც ხონელის დამოკიდებულებას გაბრიელთან, ისე მამა ჩემის განწყობილებას განსვენებულ ღვდელმთავართან. ყველა დოკუმენტების ასლები, რომელნიც შეეხებიან მამაჩემს, ზოგი დედანი, გაბრიელის ხელით დაწერილნი, ხელთა მაქვს. ისინი მამაჩემის ქალალდების გარჩევის დროს, მისი არქივიდან ამოვიღე. ასე რო, ჩვენ შეგვიძლია ნამდვილი ამბავი წარმოვუდგინოთ მკითხველს იმ დევნისა, რომელსაც მამა ჩემი განიცდიდა ეპ. გაბრიელისგან და რომელიც გაგძელდა 33 წელს და რომელსაც ბოლო მოელო მხოლოთ გაბრიელის სიკვდილით... ვიმეორებ, ეს ამბავი ვრცლათ არი ნაამბობი ილ. ხონელის ცხოერების აღწერაში, !ადაც მისი მშობლების ვინაობას ვეხ‌ᲔᲑი. ახლა იძულებული ვარ, შემოკლებით ვუამბო მკითხველს ეს სამარცხვინო ეპიზოდი ეპ. გაბრიელის ცხოვრებიდან.

როდესაც გაბრიელი განწესდა იმერეთში ღვდელმთავრათ, მამა ჩემი დაიახლოვა და ხონის რაიონის ბლაღოჩინობა მიცა. მამა ჩემს იმ დროს და დიდხანს მერმეც იმერეთის, საღვდელოება თავის კრებებზე თავმჯდომარეთ ირჩევდა. გაბრიელი მხოლოთ იმას ნიშნავდა, სხვა და სხვა სამოქალაქო დაწესებულებაში, იმერეთის სასულიერო მთავრობის წარმომადგენლათ, როგორც შეგნებულ და ნიჭიერ ღვდელს.

იმ დროს, მამა ჩემს სკოლა ქონდა თავის სახლში. ეს სკოლა ერთად-ერთი სასწავლებელი იყო იმ დროს თელ ქვემო იმერეთში. სკოლა მამას ეზოში ქონდა, ცალკე სახლში. რათგან საქმე გადიდდა, ბევრმა სწავლის მსურველმა მოიყარა თავი, მამამ განიზრახა სკოლა შვა გულ სოფელში გადაეტანა. ამისანა ადგილი ხონის მოედანი იყო. რათგან ეს ადგილი საეკლესიო კუთვნილებას შეადგენდა და საეკლესიო ადგილების გამგებელი-კი იმერეთის ეპარქიის უფროსი იყო, ამისთვის მამამ თხოვა გაბრიელს, საშვილიშვილო იჯარით მიეცა მისთვის, რვაასი კვარდრატი საჯენი მიწა, სკოლის სახლის დასა-

დგმელათ. გაბრიელმაც დააკმაყოფილა მამის თხოვნა და კანტრახტი შეუკრა, 12 წლით, კატრახტის განახლების უფლებით. ეს ამბავი მოხდა 1862 წ. როდესაც სკოლა დაიხურა, სამინისტრო სკოლის დაარსებით, იმ ადგილზე მამა ჩემა გასაქირავებელი სახლი დადგა. ეს შეშურდათ ზოგიერთებს და მათ შორის, იმ ადგილის მახლობელათ მცხოვრებს, ღვდელ ბესარიონ ჩხენკელს. აი, აქიდან იწყება გაბრიელის დევნა მამაჩემისა სიკვდილამდის. ამ ჩხენკელს ცოლი ყავდა ახვლედიანის ქალი, მაკრინე. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, მამაო იოსებ, რა გავლენაც ქონდათ ახვლედიანებს და მათ ქალებს გაბრიელზე. ამ მაკრინეს გაბრიელი ერის კაცობაშიაც იცნობდა და დადიოდა მასთან. ეპარქიის გამგეთ რო განაწესეს გაბრიელი იმერეთში, იგი ხშირი სტუმარი შეიქნა მაკრინესი. მაკრინეს ქმარი კიდეც ამაყობდა თავის მეუღლის მეგობრობით მათ მეუფებასთან. მხოლოთ გაბრიელს მაკრინე აყვედრიდა ამ მეგობრობას და, სამაგიეროთ, თხოვდა სამსახურში წარმატებას ბ დაჯილდოებას. გაბრიელისთვის, როგორც მოგეხსენებათ, მაკრინეს ქმარის ამ მხრივ დაკმაყოფილდება ადვილი იყო. რათგან მისი დაჯილდოება და ორდენების მიცემა მას ეკითხებოდა და მისთვის ადვილი ასასრულებელიც იყო ეს აი, ამ მაკრინემ მოისურვა მამაჩემისთვის საიჯარო ადგილის წართმევა. მაკრინემ შეჩივლა გაბრიელს: ლუკას ახალმა სახლმა ჩემი ეზო და სახლი დაჩდილა და დახურაო, გარდმოსავალი გზა ეკლესიასთან შემიკრაო და სხვა. ეს საჩივარი მაკრინეს, სულ უსაფუძლო და სიმართლეს მოკლებული იყო, რათგან მაკრინეს საკუთარი გზა ქონდა, რომელზეც გაბრიელიც გადიოდა და ბევრი სხვაც და ლუკას სახლი არაფერს უშლიდა მას. მოგეხსენებათ, მამაო იოსებ, გატატაჩებულ დედა კაცს ყველაფერი თუ არ აუსრულეთ, სტუმრათაც არ მიგიღებთ. გაბრიელმაც მოიხმო ღვდელი ლუკა ბახტაძე და წინადადება მიცა, ნახევარი იმ ადგილისა ბესარიონ ჩხენკელისთვის დაეთმო. მამაჩემმა უარი მოახსენა. ან რათ უნდა დაეთმო, რათგან მას ხელ შეუკრულობა ქონდა იმ ადგილზე სასულიერო მთავრობასთან. გაბრიელმა უკანასკვნელ საშვალებას მიმართა, მაკრინეს დასაკმაყოფილებლათ: მოთხოვა მამას იმ ადგილის კანტრახტი წარედგინა მისთვის. გაბრიელს უნდოდა კანტრახტის დახევა, იჯარის გაუქმება, ადგილის ჩამორთმევა და, მერე, ბესარიონისთვის გარდაცემა ადგილისა და მასთან ახალი კანტრახტის შეკვრა. მამა ჩემმა იცოდა კანტრახტის მნიშვნელობა და ნაძდვილი სარჩული გაბრიელის ჯერეთ თხოვნისა, მერე მუქარისა, რო ნახევარი იმ ადგილისა ჩხენკელისთვის გარდაეცა. რათგან მამამ გაბრიელის სურვილი არ აღასრულა, სამაგიეროთ, გაბრიელმა აიძულა იგი. ჩამოხადა ბლაღოჩინობა, სანახავათაც არ იღებდა, არა თუ მას, არც სხვებს, ვისზეც გაიგებდა, ლუკასთან კარგ განწყობილებაში არისო. თქვენ-კი, მ. იოსებ, დაუფიქრებლათ ამბობთ, გაბრიელმა ბლაღოჩინობა ბოროტ მოქმედებისთვის ჩამოართვაო. თუ ბოროტ მოქმედება ყოფილიყო, გამოძიება უნდა დაენიშნა გაბრიელს. ამის მსგავსი-კი არაფერი ყოფილა. ასეთი შეუწყნარებელი ხასიათი ქონდა გაბრიელს...

მოგეხსენებათ, მამაო იოსებ, როგორ გავრცელებულია ჭორი და ენის მიტან-მოტანა ბერებში და, საზოგადოთ, საღვდელოებაში. შეიქნა დასმენა და ენის მიტან მოტანა. ბესარიონ ჩხენკელი, კაცი მეტათ ჩერჩეტი, მასთან საოცარი ინტრიგანი, გზაში იყო გაბმული ხონისა და ქუთაისის შვა, მიქონდა ჭორები გაბრიელთან: დღეს ლუკამ ასე შემომხედა, თქვენი მადლი ნუ გამიწყრება, რაღაც ცუდი განზრახვა უნდა ქონდესო. მოწმეებსაც დაასახელებდა. ერთი სიტყვით, ბრბო შედგა გაბრიელის ირგვლივ. დღეს ერთი დაასმენდა ათვალთვალებულ კაცს, სხვები მოწმეებათ დაუდგებოდენ, ხვალ მეორე დამბეზღებლათ წავიდოდა გაბრიელთან და გუშინდელი მაბეზღარი, დღეს მოწმეთ იყო. ასე აკეთებდენ თავიანთ საქმეს ეს ბნელი ძალები. დაბეზღებულს გაბრიელი ახლოსაც არ იკარებდა. ნათქვამი ქონდათ ინტრიგანებს, არ მიიღოთ, თქვენო მეუფებავ, თორე მოგვკლავსო. ამ ბნელ ძალებს კარგი გაწყობილება ქონდათ, როგორც გაბრიელის კრებულთან, ისე მის მდივანთან.

ასეთი იყო ის აშმორებული ატმოსფერა, რომელიც გამეფდა ეპარქიაში გაბრიელის მართვის დროს. ასეთ მდგომარეობაში იტანჯებოდა ილ. ხონელის მამა ოცდა ცამეტ წელს!..

გაბრიელის ძალმომრეობა ამით არ გათავებულა. როდესაც მუქარით ვერ ჩამოართვა ნახევარი იმ ადგილისა, მაკრინემ კიდევ შეჩივლა გაბრიელს: ღვდელს ლუკა ბახტაძეს მეტი აქვს ნაკავებული ადგილი, ვიდრე კანტრახტით ერგებაო და მაკრინე თხოვდა გაბრიელს, ჩამოეჭრათ იმ ადგილისთვის მაინც და მაინც ის კუთხე, რომელზეც სახლი იყო დადგმული. გაბრიელმა მიწერა მაშინდელ ქუთაისის მაზრის უფროსს—მარტინოვს, დაენგრია მას ლუკა ბახტაძის ახალი აშენებული სახლი და თან უხსნიდა, რო კანონით მას ნება აქვს, ასე მოიქცეს (გაბრიელი ატყვილებდა მარტინოვს. ამის მზგავსი არაფერი არ არი კანონში და არც შეიძლება იყვეს). მარტინოვი უფრო წინ და ხედული გამოდგა. მან თავიდან ასაშორებლათ გაბრიელის უკანონო განკარგულებისა, მიწერა თავის თანაშემწეს—მარჯანოვს, მოქცეულიყო იგი კანონისაებ. ეს მიწერილობა გაბრიელისა დათარიღებულია 1870 წ. 29 ნოემბრის რიცხვით.

შვალამისას, როდესაც ყველას ეძინა, ბესარიონ ჩხენკელს და მის მაკრინეს შეეკრიბათ მათი თანამოაზრე მოხელეები და ლუკას ექვს თვალიანი სახლი დაუნგრიეს და ფიცრები იქით-აქით გადაუგდეს და ეზოს ღობეები მოტრიტეს.

ბესარიონმა და მაკრინემ იცოდენ გაბრიელის მიწერილობა მაზრის უფროსთან და, მარჯანოვის რჩევით, თვით მოიყვანეს სისრულეში მისი აღსრულება. კოტე მარჯანოვი ახლო იცნობდა მაკრინეს. წინა დღეს მამა განგებ ქუთაისში გაიხმეს, ეპისკოპოზი გიბარებსო და, რო მოვიდა ხონში, ყველაფერი დანგრეული და დაქცეული დახვდა. მამას ეს ძალმომრეობა არაფრათ ჩაუგდია. იგი დიდი სულგძელი და მომთმენი ადამიანი იყო. და კარგათაც იცოდა, როგორ ავაზაკებთან ქონდა საქმე. მაშინვე მასთან მოვიდენ ის ხუროები, რომელთაც პირველათ აუშენეს ის სახლი და უსასყიდლოთ აუგეს იმავე ადგილზე, სადაც უწინ იდგა. მეშებმა ქირაზე უარი თქვეს, რათგან იცოდენ ნამდვილი მიზეზი გაბრიელის ძალმომრეობისა და არ უნდოდათ ბოროტება გამარჯვებულიყო... ახლა იკითხავთ, რა უფლება ქონდა ეპ. გაბრიელს მაზრის უფროსისთვის მიეწერა სახლის დაქცევა? კანონით ხომ არავის ნება არ აქვს სისრულეში მოიყვანოს თვისივე განკარგულება, მხოლოთ მსაჯულის აღმასრულებელი ფურცლით შეიძლება სახლის დაქცევა?

ამით არ გათავებულა და არც დაწყებულა მამაჩემის დევნა გაბრიელისგან. უფრო ადრე მაკრინემ მოისურვა თავის ქმრის, ბესარიონის გადმოყვანა სოფ. ქვიტირიდან, სადაც მამამისის ადგილზე იყო ნაკურთხი ღვდლათ, ხონის ეკლესიაში. მაშინ მამაჩემის და გაბრიელის განწყობილება უკიდურესობამდის არ იყო მისული.

ხონის ეკლესიაში ორი ღვდლის ადგილი იყო. მამა ჩემი მეორე ღვდელი იყო. გაბრიელმა ბეს. ჩხენკელი მესამე ღვდლათ გადმოიყვანა, ხონის ღვდლებს მრევლი გამოუყო და ერთი მესამედი ხონის მრევლისა ბეს. ჩხენკელს მიცა. ცოტა ხნის შემდეგ, რაკი ჩხენკელს ფეხი მოადგმევინა ხონის ეკლესიაში, ჩხენკელი მეორე ღვდლათაც განაწესა გაბრიელმა და მამა-კი მესამეთ—და თან მესამე ღვდლის შტატი გააუქმა და მამა ჩემი შტატ გარეშე დატოვა; მამა ჩემმა, რასაკვირველია, განასაჩივრა გაბრიელის განკარგულება ბესარ. ჩხენკელის დანიშვნის შესახებ და თხოულობდა თავის ადგილის დაბრუნებას.

მოგეხსენებათ, მ. დეკანოზო, რო თქვენ უწყებაში სამართალი არ არი, თუ სქელი ჯიბე არ აქვს მთხოვნელს. მამა ჩემს ჯიბეც თხელი ქონდა და ისეთი ხასიათის იყო, რო კიდეც ქონოდა, ქრთამს არავის მიცემდა. უქრთამოთ-კი სამართლის კარი ვერსად შეაღო. თფილისის კანტორაში გაასაჩივრა ეპისკოპოზის განკარგულება, კანტორა ისევ გაბრიელს შეეკითხა. გაბრიელმა ისეთი პასუხი გასცა კანტორას, რო მამა ჩემს ყველა ცოდვები მოახვია თავს და ბეს. ჩხენკელი გაბრიელ მთა-

ვარ-ანგელოზათ გამოიყვანა. მამაჩემმა სინოდში იჩივლა. სინოდმაც გაბრიელს მოთხოვა თავის დასკვნა. რასაკვირველია, გაბრიელი თავის წინააღმდეგ არ იზამდა წარდგინებას სინოდში. არც იქიდან გამოვიდა რა. საქმე გაკეთდებოდა, რათგან სიმართლე მამასკენ იყო. მარა ყველგან ხელები გამოწვდენილი დახვდა და მართლმსაჯულება რო მიეღო, ყველასი მადა უნდა დაეკმაყოფილებია!...

ამ დროს გაბრიელმა აავსო ბესარიონ ჩხენკელი ყოველ გვარ ორდენებით, ბლაღოჩინიც ის იყო და საეკლესიო მამულების გამგეც. დეკანოზობაც მიცა. ბოლოს, გაბრიელმა გადმოაგდო ხონის ეკლესიის პირველი ღვდელიც და მის ადგილზე ბესარიონ ჩხენკელი დააყენა. ბესარიონი რო გენახათ თავის ორდენებით, მამაშვილობამ, ჩინელ ბონძათ მიიღებდით, იმდენი ქონდა ორდენები, ყველა მაკრინეს სახელით მიღებული... მაშინ მამას დამხმარე არავინ ყავდა. შვილები პატარები იყვენ, რომელნიც იყვენ, ყველა სწავლობდა, ყველანი მის ზრუნვას თხოულობდა. შემოსავალი-კი შეუმცირდა, რათგან მისი შემოსავალი გაბრიელმა ბესარიონ ჩხენკელს გადაცა.

ილ. ხონელი რო რუსეთიდან დაბრუნდა, დიდი ხნის შემდეგ, მან მიაქცია ყურათღება მამის საქმეებს, რათგან ხედავდა ეპ. გაბრიელი სრულიათ აბნეულია ამ საქმეში და, მის მაგიერ, სხვები ქაღალდებს ადგენდენ, წარდგინებასაც შვებოდენ, ღვდლებსაც აგდებდენ, მათ ადგილებს სხვებზე ყიდიდენ, გაბრიელს მხოლოთ ხელს მოაწერიებდენ.

ამ დროს, ხონის ჰორიზონტზე ახალი მტაცებელი გამოჩდა, ბლაღოჩინი ერასტი მაჭარაძე. ეს ღვდელი ხონის მთავარანგელოზის ეკლესიაზე იყო ნაკურთხი. მან მოისურვა იქიდან ხონის ეკლესიაში გადმოსვლა. ამისთვის გაერია ხონელი ღვდლების და გაბრიელის დავაში, მიქონდა სიტყვები გაბრიელთან და სულ გადარია ღვდელ-მთავარი. ამ დროს არც მაკრინე იყო ცოცხალი, არც ბესარიონი. ორივემ გლახათ გაათავეს სიცოცხლე. ბეს. ჩხენკელისთვის რაღაც გამოძიება მიენდოთ, ყალბი საბუთები შეედგინა და, მისი წყალობით, ექვსი მართალი კაცი, მიქელაძეები, ციმბირში გაგზავნეს. ამ საქმისთვის ისიც სამართალში მიცეს. მარა, მისდა საბედნიეროთ, სიკვდილმა მოუსწრო და ციმბირს გადაარჩინა.

ერ. მაჭარაძეს უნდოდა რამე ნაირათ ადგილი გაეთავისუფლებია ხონის ეკლესიაში თავისთვის. ამისთვის გაბრიელს გააგზავნიეს იმან და მისმა მეგობარმა, რაპორტი თფილისის სინოდალურ კანტორაში, 5 აპრილს 1889 წ., რო კანტორას მამაჩემი სხვა ადგილზე გადაეყვანა ან სულ უადგილოთ დაეტოვებია. ამ რაპორტიდან რომ არაფერი გამოვიდა, გაბრიელმა კიდევ გაგზავნა კანტორაში მეორე რაპორტი, 8 ივნისს, იმავე 1889 წ.

რა მოხდა, რა დააშავა ღვდელმა ლუკა ბახტაძემ, რომ ამისანა მედგარი იერიშები მიქონდათ მაზე? არაფერი, არც ბოროტმოქმედება, არც არავითარი გამოძიება. გაბრიელი მხოლოთ შურს იღებდა ბესარ. ჩხენკელისას და ხონელისთვის უნდოდა სამაგიერო გადაეხადა იმ შენიშვნებისთვის, რომელსაც იგი ბეჭდავდა მასზე. ხონელს ვერას დააკლებდა და, სამაგიეროთ, მამაზე მიქონდა იერიშები.

გაბრიელის წარდგინების შინაარსი მამამ გაიგო, ილ. ხონელს აცნობა ქ. სოხუმში, სადაც იგი იმ დროს სტუმრათ იმყოფებოდა ნათესავებში. ილ. ხონელი მაშინვე გამოეშურა თფილისისკენ.

გემში მას გაცნობოდა ობერჰოფმეისტერი თავ. შახავსკოი, ეგზარხოსის პალადის ახლონაცნობი. მუსაიფში თავ. შახავსკოის ეთქვა, თფილისში მივდივარ, თქვენი პალადის სანახავათო. ილიკოს ესარგებლა ამ შემთხვევით და გაცნობით და, სხვათა შორის, მამამისის ამბავიც ეამბნა მისთვის და უმიზეზო, გაუთავებელი დევნა ეპ. გაბრიელისა. თავ. შახავსკოის ეთქვა, მივიდეთ ეგზარხოს პალადისთან და ავუხსნათ საქმის გარემოება. ბოროტ ადამიანებს მამა, როგორ უნდა გაათელინოვო.

ილ. ხონელი პალადის კარგათ იცნო-

ბდა, მარა მამის საქმეებზე იმასთან საუბარი არა დროს არ ქონია. როდესაც ხონელმა გაზ. „კავკაზ“ში აღძრა საკითხი სიონის ტაძრის ეზოს გაფართოებისა და იმ დუქნების რეკვიზიციისა, რომელიც სიონის კედლებზე არი მიშენებული, პალადიმ მოისურვა მისი გაცნობა და დეკ. მამა კალლისტოვი გამოუგზავნა და ინახულა. და, ხონელის რჩევით, პალადიმ მიწერა მაშინდელ მთავარ მართებელ შერემეტევს, რო დაეკეტათ ის დუქნები, რომელიც სიონის კედლებზე არი მიშენებული და ნება არ მიეცათ მათი გახსნისა და შიგ ვაჭრობისა. ის დუქნები დღესაც დაკეტილი არი. თავ. შახავსკოი და ილიკო მივიდენ პალადისთან და აუხსნეს ღვდლის, ლუკა ბახტაძის საქმის გარემოება. პალადის აღეთქვა, მოვითხოვ კანტორიდან საქმეს და თვითონ მე წავიკითხავ და გავეცნობიო და დაენიშნა მათთვის დრო, შედეგის გასაგებლათ.

დანიშნულ დღეს, როდესაც მისულიყვენ, პალადის დიდი გაცვიფრება გამოეთქვა მათთვის. გაკვირვეული ვარ გაბრიელის უსამართლობითო, მასთან არც მეგობრობა შეიძლება, არც ნაცნობობა, მუდამ შფოთშია, მუდამ ჩხუბშია, კანტორა მისი საჩივრებით გარდავსებულია. არც ჩემთან არი კარგათ, რა დავუშავე-კი, არ ვიცი, მეზობელ ღვდელ-მთავრებთან მუდამ წაკიდებული და შფოთში არისო. გავეცანი მამათქვენის საქმეს, ეთქვა ილიკოსთვის, და ვერ მივხვდი, რისთვის დევნის ამ კაცს ოცდაათი წლის განმავლობაში. ყოველი შფოთის შემტანი, როგორც საქმიდან ჩანს, ღვდელი ჩხენკელია, რომელსაც გაბრიელი მფარველობსო. იმ დროს ბ. ჩხენკელი ცოცხალი იყო. პალადის აღეთქვა: ამ დღეებში შევიტან ამ საქმეს კანტორაში განსახილველათ. მართლაც, იმ დღეებში კანტორას დაედგინა: ღვდელი ჩხენკელი სხვა მრევლში გადაეყვანა გაბრიელს, როგორც მიზეზი ყოვლის შფოთისა და ლუკა ბახტაძე იქვე დაეტოვებია თავის ადგილზე. ეს უქაზი კანტორისა აპრილის დამლევს 1889 წ. მოვიდა ქუთაისში. გაბრიელი და მისი მრჩევლები გაცვიფრებას მიეცენ. არ იცოდენ, რა ძალამ შეაბრუნა მამა ჩემის საქმე ამ გვარათ.

გაბრიელმა ეს უქაზი არა თუ სისრულეში არ მოიყვანა, კიდეც დაიკარგა იგი უგზო უკვლოთ, ჰაერში გაქრა.

გაბრიელი და მისი მრჩევლები მაინც არ დაცხრენ. მათ მიანდვეს ილია კიკნაველიძეს ამ უქაზის მაგიერ, მეორე უქაზის გამოგზავნა კანტორიდან. მართლაც, კანტორიდან მეორე უქაზი მოვიდა ქუთაისში, გაბრიელის სახელზე, რომლითაც კანტორა წინადადებას აძლევდა გაბრიელს: ღვდელი ლუკა ბახტაძე, ან სხვა მრევლში გადაეყვანა და, თუ იგი არ ისურვებდა გადასვლას, უადგილოთაც დაეტოვებია.

გაბრიელმა აისრულა თვისი სურვილი. როგორც მერე აღმოჩდა, კიკნაველიძეს ეს ახალი ყალბი უქაზი 22 მარტისა 18 მაისს შეედგინა და სხვა უმნიშვნელო ქაღალდებთან მიეტანა ეგზარხოს პალადისთვის, ხელის მოსაწერათ, დიდ მარხვის პირველ კვირაში, როდესაც პალადი ქაღალდებსაც არ კითხულობდა და ლოცვაში და მარხულობაში ატარებდა დროს... პალადისაც წაუკითხველათ ხელი მოეწერა. რასაკვირველია, არ იცოდა, რაზე აწერდა ხელს.

კიკნაველიძე იმ დროს კანტორაში სტოლის უფროსი იყო. კიკნაველიძის ვინაობას მე არ გაგაცნობთ, მამაო იოსებ. იმას თქვენ ჩემზე უფრო კარგათ უნდა იცნობდეთ. ვიტყვი მხოლოთ, რო იმას არაფერი ბოროტება და სიბილწე სემინარიის ბურსისა არ აკლდა.

აი, ამისანა არა საკადრისი გზით და საშვალებით შეძლო სულმნათმა გაბრიელმა მამა-ჩემის ადგილიდან გადაყენება.

იკითხავთ: როგორ მოახერხა კიკნაველიძემ კანტორის სხვა წევრების ხელის მოწერინება ამ ყალბ უქაზზე? ეს კიკნაველიძის საიდუმლებას შეადგენს, რომელიც იმან საფლავში თან ჩაიტანა და კანტორის მაშინდელ წევრებისას...

ეს ყალბი უქაზი კანტორამ (კიკნაველიძემ) გამოგზავნა ქუთაისში ზაფხულში, როდესაც ეგზარხოსი პალადი პეტერბურგში იყო გამოხმობილი, სინოდის ზაფხულის სესიაში დასასწრებლათ.

აი, ასეთი იყო ეპ. გაბრიელი. მისი ხა-

სიათი რო გაიგოთ, მისგან დაწერილი საქმის ქალალდები უნდა წაიკითხოთ... ცილის წამებასაც-კი კადრულობს, რო დაამკიროს თვისი მოპირდაპირე!

ახლა გეკითხებით, მამაო იოსებ, ვის ეჭირვება ცოდვების შენდობა. მამა ჩემს, რომელსაც გაბრიელი უმიზეზოთ დევნიდა?.. თუ მიზეზათ იმას დაასახელებთ, რო მამა ჩემმა ვიღაც მაკრინეს ადგილი არ მიცა. ამ მიზეზის მოტანა გაბრიელისთვის სამარცხვინოა, თუ ეპ. გაბრიელს, აღჭურვილს უფლებით, გაბოროტებულს შურისძიებით, რომელიც ოცდაცამეტ წელს დევნიდა დიდი ოჯახით დატვირთულ სოფლის ღარიბ ღვდელს?!

მე აქ მხოლოთ ცოტათი ავხადე ფარდა გაბრიელის მოღვაწობას იმერეთის ეპარქია'ში. ჩემ აზრს გაბრიელზე და მის მოღვაწობაზე მალე წაიკითხავთ უფრო ვრცლათ, ილ. ხონელის ცხოვრების აღწერაში. ეს ფაკტები მხოლოთ თქვენი ცნობისმოყვარობის დასაკმაყოფილებლათ მოვიტანე აქ.

თქვენ ბძანებთ; „მამა ლუკას ერთი საქმე ისე წავიდა, რო ღირსებაც ახადეს, მარა შეიბრალეს, ისევ გაბრიელის წყალობითო“. ამ სიტყვებში მხოლოთ ერთი მართალია. მამა ლუკას ცხოვრებაში მართლა ქონდა ადგილი ერთ სამწუხარო მოვლინებას. მარა სასამართლომ თვით დაინახა მამას სიმართლე და მისი უდანაშაულობა იმ საქმეში, რომელიც მას ბრალდებოდა და შუამდგომლობა აღძრა მეფის წინაშე ბრალდებიდან მისი გათავისუფლებისა. რაც შეეხება თქვენ სიტყვებს, „შეიბრალეს ისევ გაბრიელის წყალობითო“, ეს სიტყვები მხოლოთ თქვენ უმეცრობას ამტკიცებს. სასამართლო რისთვის, ან როგორ შეეკითხებოდა ბერს გაბრიელს, დამნაშავე დავსაჯოთ, თუ გავათავისუფლოთო. სასამართლო, მამაო, ეპარქიის კანცელარია-კი არ არის. იგი სრულიათ დამოუკიდებელია ყველასგან, იგი ხელმძღვანელობს მხოლოთ სახელმწიფო კანონებით და საღი გონებით.

თქვენ, უთუოდ, იცნობდით ღვდელს, ლუკა ბახტაძეს. თუ იცნობდით, ისიც გეცოდინებათ, რომ ის სათხოვნელათ არ წავიდოდა ისეთ კაცთან, რომელიც მის მოსახჩობათ ყალბ უქაზებს არდგენდა. საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, მ. იოსებ, რო მამა ჩემი გაბრიელის ღირსებას არ უარყოფდა, როგორც ღვდელმთავრისა და მქადაგებლისას, მარა, რაც შეეხება გაბრიელს, როგორც ადამიანს, როგორც ეპარქიის მართველს, იგი მამაჩემის გულში მხოლოთ სიბრალულს იწვევდა...

აი, ის საქმე, როგორ იყო: მამას ფული დაჭირდა და ერთ ახლობელს ის სახლი დაუგირავა, რომელიც გაბრიელმა დაუქცია. გირავნობის ფურცელში ხონის ნოტარიუსს შეცდომით ის ადგილიც შეეტანა, რომელზეც სახლი იდგა. ის კაცი, რომლიდანაც მამამ ფული ისესხა,—გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, რომელსაც რაღაც დავა ქონდა მამასთან ადგილის შესახებ, პროკურორს აცნობა, ღვდელმა ლუკა ბახტაძემ სახელმწიფო ადგილი დაუგირავა მამა ჩემსო. სასამართლოში გამოირკვა ნამდვილი გარემოება საქმისა, რო მამა ჩემს ადგილი-კი არ დაუგირავებია, არამედ სახლი, რომელიც იმ ადგილზე იდგა.

ნაფიც მსაჯულების სასამართლო რო ყოფილიყო, გაამართლებდენ მამას, როგორც უდანაშაულოს. მარა ეს უფლება არა აქვს იმ სასამართლოს, რომელიც ჩვენში მოქმედობს. იგი მხოლოთ, როდესაც დარწმუნდება ბრალდებულის უდანაშაულობას, აღძრავს შუამდგომლობას მეფის წინაშე ბრალდებიდან სრულიათ გათავისუფლებისა. ის ადგილი, რომელსაც გადააყოლა გაბრიელმა მამა ჩემი, მეფემ, ნიკოლოზ მეორემ, მერე, საჩუქრათ უბოძა მამა ჩემს. რაც შეეხება გელათის გაცარცვის ამბავს, თქვენ მიერ მოთხრობილს, იგი არც მართალია არც გულწრფელი. თქვენ ვიღაც უმნიშვნელო მოხელეს—პუტიატინს აწერთ მის გაცარცვას. ესე იგი, მოგინახავთ ვიღაც „მეისრე“ და იმას გინდათ მოახვიოთ თავს ეს ბოროტ-მოქმედება და გაამართლოთ ნამდვილი ქურდები. ეს ფანდი თქვენზე ადრე სცადეს იმ ქურდებმა. გელათის გაცარცვა მაშინ იმათ მოახვიეს ვიღაც მართალ

ბერს, რომელიც ციხეში ჩაალპეს. მარა ბოროტებას ამით არ გაუმარჯვნია და სიმართლე არ დაჩდილულა...

არა, მამაო, ის მაღალ ხარისხოვანი ქურდები, რომელთაც უწმინდური ხელებით გაბედეს შეხება ჩვენ წმიდათა წმიდას ვიღაც პუტიატინი—კი არ იყო. ერთი იყო გრაფი, მაშინ დიდი გავლენიანი კაცი ქუთაისში და, მეორე, წვერიანი, სახელათ ევსევი ქვიოდა, რომელთაც შეეძლოთ გაბრიელის დაწინაურება. ამ მაღალ ხარისხოვან ქურდებმა გააგებიეს გაბრიელს, რომ ის თუ დათანხმდებოდა და გარდაცემდა მათ გელათის ფასდაუდებელ სიმდიდრეს, რომლის ფასი და მნიშვნელობა გაბრიელმა არც იცოდა, იმას შეეძლო იმედი ქონოდა არქიეპისკოპოზის ხარისხის მიღებისა და, თუ ასე დაიმსახურებდა კიდევ თავს, ვინ იცის, მერე თავსაც დაიშვენებდა, ყოველ ბერისთვის საოცნებო, მიტროპოლიტის თეთრი ბარტყულით...

გაბრიელმა, როგორც კარიერისტმა, რომელსაც არავინ ყავდა დამმხმარე მაღალ საფეხურზე ასასვლელათ, ისარგებლა ამ შემთხვევით და გადაცა საქართველოს ეკლესიის, ვიტყვი მეტს და არ შევცდები, თელი საქრისტიანოს, სიმდიდრე.

გაბრიელი სხვის თვალში ბეწვს ხედავდა და თავის თვალში-კი დვირეს ვერ ამჩნევდა! ვინ მიცა ნება გაბრიელს, გეკითხებით თქვენ, მის დამცველს, რა უფლებით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც ქურდებს აძლევდა იგი სიმდიდრეს, რომელიც ქართველ ხალხის სასოებამ და ღვთისადმი მისწრაფებამ თითო მარცელებით შეაგროვეს თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში?!

როდესაც მაღალ ხარისხოვან ქურდებმა გაიტანეს სიმდიდრე საქართველოდან და დიდ ფასში მიყიდეს ბრიტანიის მდიდარ მუზეუმს, იმათ გაბრიელიც არ დაივიწყეს. გაბრიელს საჩუქრათ გამოუგზავნეს წითელი ფარჩის ანაფორა. მაშინ მიხვდა გაბრიელი, რო კოჭი ალჩუთ არ დაუჯდა და რო იგი... მაღალხარისხოვან ქურდებმა გააცურეს.

ამის შემდეგ, გაბრიელმა ყოველი იმედი დაკარგა წარმატების გზაზე სვლისა და გაბოროტდა, გაანჩხლდა, ყოველ ეგზარხოსს კბენდა, ეჩხუბებოდა, ყველაში ხედავდა ბოროტმოქმედს და შეუდგა მემუარების წერას. რა ფასი აქვს მის მემუარებს? იგინი ჯერ თუ არ გამხდარან, მალე გახდებიან კრილის და თაგვების სხვერპლათ.

ქართველი ხალხი უკეთ ვერ მოიქცეოდა, ვიდრე იგი მოექცა გაბრიელს.

საუკუნო ბინათ მან მიუსაჯა გაბრიელს მისგან გაცარცული გელათი...

შორეული თაობა, რომელიც მოისურვებს გელათის სიძველის გაცნობას, რა ნახავს საფლავს ამ კაცისას და გაიგებს მისგან ჩადენილ სისუსტეს, ლმობიერათ აპატიებს და შენდობას შეუთვლის და ჩვენც,—ქუდი მოიხადეთ, მამაო,—შევუნდოთ გაბრიელს მისი ცოდვანი და შეცდომანი და შეევედროთ ყოვლის შემძლებელ ღმერთს, რათა დაუმკვიდროს მას სასუფეველი ცისა.

ლ. ბახტაძე.

მოგზაურობა რაჭა ლეჩხუმში.*)

ბელიშის მონასტრის ხელნაწერები.

№ 23. „დიდებაჲ[1]) შენდა უფალო, დიდებულო ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. (ქვეყანასა ზედაჲ[2]) კურთხეულ არს ღ-თი დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, მხოლოჲ, უფალი, მეუფეც, მფლობელი საუკუნეთა, შემოქმედი ანგელოზთა და კაცთა, მიზეზი ყოველთა არსთა არსებისაჲ და ყოველთა (ყ-ლთა) ხილულთა და უხილავთა შესაქმისაჲ, ჭეშმარიტი და ყოველთა მიერ მარადის თაყვანის საცემელი, სამებაჲ წმიდა, სამ გუამოვანი, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, საუკუნოჲ, უჟამოჲ, დაუბადებელი, მიუდრეკელი, მარტივი,

*) იხ. ''ცხოვრება'', № 15.

[1]) ყოველ სიტყვის შემდეგ, დედანში დასმულია ორ-ორი წერტილი.

[2]) ეს სიტყვები წითელი მელნითაა დაწერილი.

შეუზავებელი, უხორცოჲ, უხილავი, შეუხებელი, გარეშეუწერელი, უსამზღვროჲ, უზომოჲ, მოუგონებელი, სახიერი, მართალი, ყოვლად ძლიერი, ყოველთა დაბადებულთა სიბძნით დამბადებელი, ყოვლისა მპყრობელი, ყოველთა მხედველი, ყოველთა განმგებელი, ხელმწიფე ყოველსა ზედა, რომლისა ვითარება ვერ შეუძლო ცნობად ბუნებამან ანგელოზთა და კაცთამან, არცა მისწუთა გონებაჲ ნივთიერი გამოთქმად და მიწდომად გამოუთქმელთა საკვირველებათა მისთა, რომლისა სუფევისა არა არს ცვალება, არცა დასასრული, რომელი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და ყოველთა არსთაჲსა იყო და არს და იყოს, მას მხოლოსა შვენის ყოველთა მიერ დიდებისა შეწირვა, პატივი და თაყვანის ცემაჲ საუკუნეთა მიმართ უკუნისამდე, ამინ. (უ-ვე ან) ამის ყოვლად (ყ-ლდ) წმიდისა სამებისა მოამადლებითა და მის მიერთა წყალობითა და შეწევნითა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობელისაჲთა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარისაჲთა და დიდებულთა მთავარანგელოზთა, ოხითა და შეწევნითა ყოველთა მოციქულთა და მახარობელთა, მეოხებითა წ-დისა და დიდებულისა წინამორბედისა და ნათლის მცემლისაჲთა და ყ-ლთა წმიდათა მისთაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო გეყვნენ შენ. ამათ ყოველთა წყალობითა და შეწევნითა ღირს ვიქმენ მე გლახაკი... ევ...[3]) დედაჲ **გურგენ ბერი ერისთავისაჲ** მოგეგად და დაწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა საღოცველად და სალხინებლად სულისა ჩემისა და სულისა **ვაჩე მელესელისა** და ყოველთა თ-უისთა ჩ-ნთა გარდაცვალებულთათვის და დღეგძელობისათვის შვილისა და ყოველთა შვილთა ჩემთათვის[4]) **აწ** მღვდელნო უფლისანო და მნენო ქრისტიანენო და თქვენ მორწმუნენო და ნათელღებულნო წმიდათა მოციქულთა და მახარებელთანო, რომელნი აღმოიკითხვიდეთ და იხმარებდეთ სულისა წმიდისა მიერ მოსწავებულთა და წ-თა მახარებელთა მიერ თქმულია ამათ წმიდათა ოთხთავთა, ლოცვასა წმიდასა (წ-ა) აქ-ნსა მოგიუხსენენით მე და შვილნი ჩემნი, რათა (რ ა ჩუენ (ჩ-ნ) და თქუენ ყუელანი ღირს გუყუნეს ქრისტენან სასუფეველსა მისსა. აწ და საუკუნესა ამინ. ხოლო (ხ-ო) დაიწერნეს წმიდანი ესე სახარებანი ლავრასა წმიდისა ღვთის მშობლისასა საწოდებელს ხელითა ჩემ ცოდვილისა და უნარჩევეს ყოველთა ღვდელთა-სა ათანასე წიგნაურისა-თა, რომელი ძმა ვეყოდე სულ დიდებულისა არსენი ჭერამელსა და ვიყავ მამულობით მამასახლისად წინაშე წ.1) წმიდისა ღვთის მშობელისა[1])

ვევედრები ყოველთა აღმსარებელთა სამებისა წმიდისათა ლოცვა ყავთ ცოდვითა გაფრდილისა **ათანასე უცბად მწერლისა** და შემმოსელისათუის და თქვენცა ღმერთმან მიგმადლენ სასყიდელი შრომათა თქუენთა უკუნითი უკუნისამდე ამინ (უ-ვე ა-ნ)[2]) ოდეს განსრულდეს წმიდანი ესე, სახარებანი ქრონიკონი იყო ს ლ გ[3])

საქართველოს ისტორიაში მეფე ბაგრატ IV(1027-1072) დროის მოხსენებულია ხორნაბუჯის ერისთავი ვაჩე, ძე გურგენ ბერისა. (ქარ. ცხ. 1, 223 და ვახუშტის ისტორია ბაქრაძის გამ. გვ 155). გურგენ ბერი, როგორც მოტანილი მინაწერიდან ჩანს, ხ ლ-ნაწერის გადაწერის დროს (1013 წ.) ცოცხალი არ ყოფილა.

ქალაქი ხორნაბუჯი მდებარეობდა კახეთის იმ ნაწილში, რომელიც ცნობილი იყო კამბეჩოვანის სახელით ან აწინდელ ქიზიყში (ქ. ცხ. I, 49 და 147 შეად. პლ. იოსელიანი. Пут. замѣтки по Кахетіи, 17 და 18) 4), ვახუშტის თქმით, ეს ოდესღაც ყოფი-

[3]) ეს სიტყვა არ იკითხება. უეჭველია, აქ იყო მოხსენებული გურგენ ბერის დედის სახელი, რომელიც, შეიძლება იყოს ქეთევან.

[4]) აქ უზის ექვსი წერტილი.

აქ ხელნაწერში Ѡხრა წერტილია: სამჯერ სამ-სამი.

[2]) სამი წერტილი.

[3]) Ѡხრა წერტილი — სამჯერ სამ სამი.

4) ქართლის მოქცევა („მოქცევაჲ ქართლისა ქიზიყს იხსენებს კამბჩანის (ვარიანტი კამბეჩიანი) სახელით (ექვ. თაყაიშვილი. „სამი ისტ. ქრონიკა“, გვ. 44), ხოლო ქარ. ცხოვრება-კამბეჩოვანისა (I, 49) და კამბეჩისა (ibid 146. ქალაქი კამბეჩისა, რომელ არს ხორნაბუჯი“). ხორნაბუჯი ვახტანგ გორგ. გახდსაეპისკოპოზო ქალაქათ და თავის სიცოცხლეშივე გადასცა თავის შვილს დაჩის (Ibiqem). ბერძნების კამბეზენე უდრის ამ კამბეჩოანს (ი. ჯავახიშვილი. ქარ. ერის ისტორია, 58). ქართლის მოქცევით, როდესაც

ლი ქალაქი მის დროს წარმოადგენდა დიდ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ეწოდებოდა არა ხორნაბუჯი, არამედ ჰოეთი „მუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჰოეთს“ — გეოგრაფია-308), ხორნაბუჯი, როგორც ციხე, მოხსენებულია 1656 წელსაც (საქ. სიძველენი ტ. II, 73).

ბაგრატ მეოთხემ განიზრახა კახეთის დამორჩილება, გაილაშქრა მის წინააღმდეგ და შეებძოლა ვაჩე ხორნაბუჯელს და მის მოკავშირეებს (ერისთავები: პანკისისა 1) სტეფანოზ და მაჭისა 2)-დაჭე; დაამარცხა მოწინააღმდეგენი მთავარ — ანგელოზი მიხაილის მთასთან. ერისთავები მზათ იყვენ გადაეცათ ციხეები მეფისთვის და დამორჩილებოდენ მას. მარა ბაგრატმა ამ დროს ცნობა მიიღო, რო ლიპარტ ორპელიანი აუჯანყდა მას და, მის გამოვერ დაამთავრა კახეთის დაპყრობა და დაბრუნდა ქართლში (ვეხუშტი, მოხს. ისტორია 155).

ვაჩე მინაწერში იწოდება მელესელათ. ეს სახელწოდება უნდა წარმომდგარიყოს სახელწოდებიდან იმ ადგილისა, რომელიც მას, ან ეკუთნოდა და ან რომელთან რაიმე შემთხვევის გაბ დაკავშირებული იყო. ამ სახელით ჩვენ ვიცით ერთი სოფელი, რომელიც იმყოფებოდა თეძამის ხეობაში (ვახუშტის გეოგრაფია — რუქა №2). შესაძლებელია ვიფიქროთ, რო ხორნაბუჯის ერისთავს ვაჩეს მელესელათ სახელწოდება ამ სოფლიდან მიეღოს. ეს მისაღებია სხვა მოსაზრებითაც. ამავე თეძამის ხეობაში, იმ ადგილს, სადაც მდინარე თეძამი უერთდება მტკვარს, ვახუშტის ჩვენებით, იყო ღვთის მშობლის მონასტერი „კეთილ შენი“ ტაძრით. *) მონასტერი დაუარსებია ვახტანგ გორგასალს და ცნობილი ყოფილა მეტეხის სახელწოდებით (ibid. 199—198). შეიძლება ვიფიქროთ, რო ჩვენი ოთხთავის მინაწერის ღვთის მშობლის ლავრა — მეტეხის მონასტერია, სადაც, ვახუშტის თქმით, იჯდა არქიმანდრიტი (Ibidem). ამას რამდენათმე ადასტურებს ისიც, რო, როგორც მოგვითხრობს როსტომ მეფისგან ჯავახიშვილისათვის მიცემული სიგელი, მეფე თეიმურაზს (1624—1634) დივანბეგი როინ ჯავახიშვილი დაუტყვევებია და ხორნაბუჯის ციხეში ჩაეგდო. როსტომ მეფეს — კი გაუთავისუფლებია ჯავახიშვილი და დაუბრუნებია მისთვის მისი საგვარეულო ადგილი, თეძამის გალმა-გამოღმა მონასტრითურთ (ძველი საქართველო ტ. II, 73 და 74). ეს გვაფიქრებიებს, რო თეძამის ხეობა და მეტეხის მონასტერი ძველათ-განვე ეკუთნოდა ხორნაბუჯის ერისთავებს. ის გარემოება, რო მონასტერი მინაწერში მოხსენებულია ლავრათ, არ ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას, რათგანც საქართველოში მონასტრების ლავრათ წოდება არა იშვიათი იყო. მაგალითად, ისტორიულ საბუთებში ლავრათ იწოდებოდენ მონასტრები: შატბერდი (ჟორდანია თ. ქრ. I, 97, 115, 252 და 292; ვახუშტას ხსენ. ისტორია 130 სხოლიო), (ქრონ. II, 73), ოპიზა (ibid I, 87), ნეძვი (ibid. I, 97), შიომღვიმე (ibid. II, 180) და სხ.

(შემდეგი იქნება.)

ამბერი.

რედაქციისგან.

ვერხარნის ბიოგრაფიის შედგენის დროს, გაზ. „საქართველოში“ და „ახ. კვალში“ დასტამბული წერილებით ვისარგებლეთ.

რედ

გუარამი. ბაგრატიონთა წინაპარი, ქართლს ,,გააჩინეს ერისთავად'', გუარამის ძმა — რაჰაკ ,,წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს და სხვანი ორნი ძმანი ამათნი, სახელით არამ და ვარზვარად (ქ. ცხოვრებით-ვარზავარდ), წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპარსალარი, და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდენ იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს და ამ ჟამამდი შვილნი მათნი მთავრობენ, მას შინა (სამი ისშ. ქრ. 23 და 44). ამაზე მოგვითხრობს ქარ. ცხოვრებაც 1, 163) და დასძენს, რომ ესენი იყვენ „მორჩილებასა და მსახურებასა შინა მეფეთა ქართველთათა“. ხოლო იოანე და ჯუანშერის გაოდაცვალების შემდეგ, კახეთში გამთავრდა გრიგოლი, განუდგა ქართლი მეფეებს და ამ განდგომილებაში იყვენ ერთ მეფობის დამყარებამდი საქართველოში, რაც მოხდა დავით აღმაშენებელის დროს (ქარ. ცხ. II. 95).

1) პანკისის ხეობაზე იხ. ვახუშტის გეოგრაფია ბვ. 320—324.

2) მაჭი ვახუშტის დროს ცნობილი იყო თოღლას (ibid. 312), ანუ თორღლა რუქა.

№2) სახელით. პანკისი და მაჭი კახეთის ნაწილებია. მაჭის და ხორნაბუჯის საერისთაოებზე ვახუშტს აქვს მეორე ადგილსაც (ibid. 233-234).

*) მეტეხის, მართლაც, შესანიშნავი ტაძარი, რომელიც პირწმინდათ წააგავს თფილისის მეტეხის ტაძრის ნაშენობას, ვახტანგ გორგასალისაშენებულია. მარა ეს ტაძარი არ არის იმ ადგილს, სადაც მდ. თეძამი უერთდება მტკვარს. აქ ჩვენი გათქმული გეოგრაფი, ვახუშტის ჩვენება მართალი არ არი. მეტეხი უფრო ქვემოთაა, შვაგულსოფელ მეტეხში, აღმოსავლეთისკენ. რედაკტორი.

რედაკტორ-გამომცემელი **რომანოზ სპ. ფანცხავა.**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან. სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა.

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე) წლიურათჟურნალი ეღირება 6 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თფილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან. მიხაილოვში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ ბ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ლანჩხუთში—ლუკა გ—ძე ურუშაძესთან, და ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

დაიწყო ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“—ზე 1917 წლისთვის.

(წელიწადი მესამე)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან., ნახ. წლით 8 მ. ერთი თვით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი 7 კ. თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოთ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილ ნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანვე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანათიც ივნისის გასულს. რედაქციის კანტორა ღია აქვს დილის 8 საათიდან სამ საათამდი და ნაშვადღევის 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდი. რედაქტორი—ი. ო. ტინტაძე.

გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**“.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. სახლი მიქელაძისა.

დეპეშებისთვის: ქუთაისი, „სამშობლო“.